„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათ. დან 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 26. კვირა, 17 ივლისი 1905 წლისა. № 26.

შინაარსი: რუსეთი.—მომავალი ერობა, ნ.-ვასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—დაბა სოფლის ამბები.—უცხოეთის ქრონიკა.—გაკვრით, სანდონისა.—დრონი იცვალენ ანუ მწარე ფიქრები (სამი მოხოლოგი), აზიანისა.—ფელეტონის მაგიერი, №-ისა.—განმარტება.—ჩემი შთაბეჭდილებანი, ლიასი.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—„ცნობის ფურცელს“.—ბურჟუა და პროლეტარი, თარგმანი.—შურის ძიება, ეშმაკისა.—დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა ცეტკინასი.

რუსეთი.

რუსეთის დღევანდელი აზვირთებული ცხოვრება ორ მთავარ მომქმედ ძალთა ბრძოლის ნაყოფია. ჩაგრული, უფლება ახდილი დიდი უმრავლესობა ებრძვის მცირეოდენსა და ბრძოლის საშუალებით აღჭურვილ უმცირესობას. რუსეთის ხალხი და «ჩინოვნიკი რუსეთი» ანუ რუსეთის ბიუროკრატია აი ორი მოპირდაპირე. ბრძოლა ამ ორ ბანაკთა შორის დღეს როდი დაწყებულა. ის კარგა ხანია ღვივდა ხალხის გულში; დღეს კი მან ფრთა გაშალა, საოცრათ გაიზარდა და გაძლიერდა. რასაც წინა ხანებში წლები სჭირდა, დღეს საათობით დრო აღარ უნდება და განმანათავისუფლებელი მოძრაობაც მდევის ნაბიჯით მიისწრაფის უკანასკნელი მიზნისაკენ. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ხანა მოძრაობისა არის გადამწყვეტი ხანა. ყველასათვის თვალსაჩინოა, რომ რუსეთის ცხოვრების ძველ კალაპოტში ჩაყენება შეუძლებელია. ასეთი აზრი მხოლოთ უგუნური ადამიანის ოცნებაში თუ დაიბადება. ხალხმა იცის თავისუფლების ალღო, გაითვალისწინა თავისი უწუგეშო მდგომარეობა, გაიგო ნამდვილი მიზეზი იმ აუტანელი გასაჭირის, რომელსაც წინეთ „ღვთის რისხვას“ აწერდა, იცნო მტერ-მოყვარე და შეინძრა, გაიწია თავისუფლებისაკენ და განა შეუძლია რაიმე ძალას ამ გოლიათის უკან დაწევა, ძველ კალაპოტში ჩაყენება?

იოცნებონ ამ იმედით ივ გონება დაბნელებულებმა, რომელთათვისაც ცხოვრების უკან სვლა ხელსაყრელია, ჩვენ კი გადავავლოთ თვალი რუსეთის დღევანდელ ამბებს.

რასაკვირველია ყოველის უწინარეს თქვენს ყურადღებას ამ მოძრაობის მოწინავე რაზმი, რუსეთის პროლეტარიატი, მიიპყრობს. რუსეთის მუშა—ეს დაუძინებელი და მასთან შეგნებული მტერია დღევანდელი ბიუროკრატიის, ყოველგვარი საშუალებით ებრძვის ექსპლოტატორების ძლიერებას, ებრძვის თავ-გამოდებით, გაბედულათ. განა არის სადმე ისეთი ქალაქი, სადაც მუშათა გაფიცვა არ მომხდარიყოს, სადაც პოლიციასა და პროლეტარიატს შეტაკება არ მოსვლოდეს? განა არის რუსეთში ისეთი სამრეწველო დაბა-ქალაქი, რომლის ქუჩებზედაც არეულობა არ მომხდარიყოს? გაფიცვა და ქუჩის დემონსტრანცია ჩვეულებრივი მოვლენა შეიქმნა რუსეთის ცხოვრებაში და თავისი სიდიადით მთელი ქვეყნის ყურადღებას იპყრობს. გაიხსენეთ პეტერბურგის ქუჩები ცხრა იანვარს, ივანოვო-ვოზნესენსკი, მოიგონეთ ლოძის და ვარშაცის პროლეტარიატის მამაცი ომები, იმათი ბარიკადები. გაიხსენეთ აგრეთვე შავისა და ბალტიის ზღვის მეზღვაურთა აჯანყება, ჯავშნიანი გემი «პოტიომკინი“ და «გიორგი», დრაგუნთა ესკადრონის ავსტრიაში გადასვლა და იქ იარაღის დაყრა.

ყველა ამგვარი ფაქტიდან ცხადათ ჩანს, რომ მებრძოლთა ერთი ბანაკი ინგრევა, და ერთის დანგრევა ხომ მეორის გაძლიერებას ნიშნავს.

არც თუ გარდამავალი ბიუროკრატიული სისტემა არის გულ ხელ დაკრეფილი; ისიც უკანასკნელ ღონისძიებას ხმარობს, გონიერება კი სულ სხვა გვარ მოქმედებას მოითხოვდა. «ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო» ნათქვამია და აქაც ხომ საქმე ჩათრევით გათავდება; ვინ ვის ჩაითრევს არავისათვის საიდუმლო აღარ არის.

გაძლიერებული დაცვის წესები თითქმის ყველა ქალაქებში და დაბებში შემოიღეს, ახლა კი მთელი მხარეები და ქალაქები სამხედრო მართვის წესზე არიან გიმოცხადებულნი. ცენზურის სისასტიკეს საზღვარი აღარა აქვს. ცოტათ თუ ბევრათ გაბედული გაზეთები ერთი-მეორეზე იხურებიან. უთვალავი ციხე-საპყრობილეები დამნაშავეებით გამოიმსო, პოლიცია აურაცხელ იარაღს და ასაფეთქებელ წამალს იჭერს; პოლიციებენ მთელს ლაბორატორიებს, რომლებშიაც ბომბებსა და სხვა ამაფეთქებელ ყუმბარებს ამზადებენ. ფარულმა ლიტერატურამ თითქმის ნება დართულს გადააჭარბოს. სულ მოკლე ხანში რამოდენიმე ნება დაურთველი სტამბა აღმოაჩინეს რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებში.

პოლიცია დაიბნა და თუ კიდევ ახერხებენ ფარული საწყობების დაჭერას—ეს ამიტომ, რომ უკანასკნელთა რიცხვი ალბათ ძალზე გამრავლდა. ყველა ზემო აღნიშნული ფაქტები ამტკიცებენ, რომ მოძრაობამ ფეხი, ღრმათ გაიდგა ფესვები.

საშინლათ იმატა პოლიციელთა და ყაზახთა ელეტამ. ტელეგრამები სავსეა ამგვარი ამბებით და ჩვენი თვალითაც ხშირათ ვხედავთ.

გლეხთა მოძრაობაც დღითი დღე ძლიერდება: მაზრიდან მაზრაში გადადის, გუბერნიიდან გუბერნიაში. მსხვილ მემამულეთა აკლება წიოკება ხშირ მოვლენათ გადაიქცა. ზოგიერთ ალაგებში გლეხ-კაცობა სრულიათ ჩამოშორდა ბიუროკრატიას, ზურგი შეაქცია მის ყოველგვარ დაწესებულებას და თავისი სახალხო საშუალებით გამოდის. გლეხთა მოძრაობის გაძლიერება იქიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მან ყაზახთა უბნებშიაც იჩინა თავი. გაზეთებიდან ვტყობილობთ, რომ ყუბანისა და დონის ყაზახებში მოძრაობა დაწყებულა; ყაზახ რუსობა კი ყველაზე უფრო კონსერვატიული ნაწილია რუსეთის გლეხ კაცობისა, ვინაიდგან მატერიალურათ სხვებზე უფრო უზრუნველ ყოფილია.

საქმის ნორმალური მიმდინარეობა თითქმის ყველა უწყებაში დარღვეულია. უმაღლესი, საშვალო და ზოგან დაბალი სასწავლებლები დახურულია, სასამართლოებს ხალხი შორდება. მიმოსვლა და საქონლის გადატან-გადმოტანა გაძნელდა. ქარხნები და ფაბრიკები იხურებიან და მრავალი მუშა ხელი უსაქმოთ რჩება. უკიდურესი სიღარიბის მიუხედავათ გადასახადთა რაოდენობა მატულობს და კიდევ მეტს უკმაყოფილებას იწვევს.

ეი ასეთია დახლოვებით რუსეთის დღევანდელი ცხოვრება. ყოველივე ეს რომ ჩინეთში ან სხვაგან სადმე ხდებოდეს, ჩვენი გაზეთები სამსე იქნებოდა „ჩინეთის რევოლიუციის“ ამბებით.

მომავალი ერობა.

I

მთელი ჩვენი „საზოგადოების“ ყურადღება დღეს მიქცეულია მთავრობის მიერ წამოყენებულ ერობის სიკათხზე. ძველმა რეჟიმმა ერთ-ერთ საჭირო დათმობათ კავკასიაში ერობის შემოღებაც დაინახა; მაგრამ როგორ და რა გზით განახორციელოს ეს რეფორმა, ან როგორი წესდება შემოიღოს—1864 წლისა თუ 1892-ის, თუ სულ ახალი «დგილობრივი პირობების შეთანხმებით»? ეი კითხვა, რომელიც გახდომიათ თავსატეხათ. ამ მიზნით დგება განსაკუთრებული საბჭო, რომელშიაც იწვევენ «საზოგადოების» და „მკვიდრთა“ წარმომადგენლებს და მათი აზრის მოსმენის შემდეგ შეუდგებიან საქმის განხორციელებას. ასეთია სურვილი. მიზანი კი, რასაკვირველია, არის აბობოქრებული ცხოვრების დამშვიდება და, რამდენათაც შესაძლებელი იქნება, ძველ კალაპოტში ჩაბრუნება. ჩვენ არ ვიცით, რამდენათ შესძლებენ მიწვეული ელემენტები ისეთი ფორმის გამონახავს, რომელმაც უნდა შესძლოს ცხოვრების დამშვიდება—სასწაულიც შესაძლებელია—მაგრამ ერთი კი აშკარაა—ამ საქმის ინიციატორებს ავიწყდებათ, რომ ძველი კუპრი ახალ ღვინოს ვერ გაუძლებს.

არ შეიძლება ძველ რეჟიმში ახალი ცხოვრების შესაფერ დაწესებულებათა შემოღება და განვითარება, და ყოველი ასეთი ცდა უნაყოფოთ ჩაივლის. დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის ერთობ ვიწრო კავშირია, როგორც ერთმანეთში, ისე ყოველ მათგანისა საზოგადო წყობილებასთან, და შეუძლებელია, ერთი მათგანის განვითარება კერძოთ, მთელი რეჟიმის შეუცვლელათ. ჯერ უნდა განთავისუფლდეს, გაიწმინდოს სამოქმედო ასპარეზი, გაიფანტოს დახშულ-დაობებული ჰაერი იმ არედან, საცა უნდა იმოქმედოს ახალმა დაწესებულებამ და შემდეგ შეიძლება ასეთ დაწესებულებათა შესახებ ლაპარაკი, მათი მოწყობა და მათი შემწეობით ხალხის ინტერესების სამსახური. ამის დასამტკიცებლათ შეგვიძლია თვით რუსეთის ცხოვრებიდან მოვიყვანოთ მაგალითები. თვით ის სახელგანთქმული ერობა, რომელიც ყველაფრის მხსნელათ მიაჩნდათ ამ რამდენიმე წლის წინეთ, შემოღებული იყო 1864 წელს, დღევანდელთან შედარებით ბევრათ უფრო ვრცელი პროგრამით, უფლებებით და საზოგადოებრივი მხრით უფრო სამართლიან პრინციპზე იყო აგებული, მაგრამ მისი მოქმედების ყოველი ნაბიჯი არწმუნდება მთავრობას და იმასაც, ვის ინტერესებსაც უკანასკნელი ყველაზე წინ აყენებდა დღემდინ, რომ ასეთი ერობა არ შეეფერება მთავარ წყობილებას, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს ყველა სახელმწიფოში არსებული ორგანიზაცია. შედარებით ისეთი „უმანკო“ დაწესებულებაც კი, როგორიც იყო მაშინდელი ერობა, ვერ შეიგუა თვითმყრობელმა ბიუროკრატიამ და თითქმის დღიდგან მისი შემოღებისა შეუდგა მისი უფლებების და სამოქმედო ასპარეზის შეკვეცას. და დღეს, როგორც მოგეხსენებათ, იგი გადაქცეულა წოდებრივ დაწესებულებათ, თავადაზნაურთა და მიწის მფლობელთა ორგანიზაციათ, რომელიც იურიდიულათ გუბერნატორების და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ კანცელარიათ უფრო შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე საზოგადოებრივ თვითმართველ ორგანოთ. ასეთივე ბედი ეწვია თავისუფალ, დამოუკიდებელ სასამართლოს, რომელიც იმავე 1864 წელს იქმნა შემოღებული: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თან და თან ჩამოართვეს მთელი რიგი საქმეებისა; წესდებით დამოუკიდებელი მოსამართლეები მოხელეებათ გადააქციეს და მართლმსაჯულების სამინისტროს ხელქვეითებათ შექმნეს; მოსპეს მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები თითქმის ყველგან, ხოლო იმ სამ—ოთხ ქალაქში, საცა ეს წესი დღემდინ დარჩა, მოსამართლეებს ირჩევს არა ხალხი, არამედ პლუტოკრატია ანუ ფულის არისტოკრატია, რომელიც არსებითათ ყოველთვის ერთგული მოკავშირე ყოფილა ბიუროკრატიისა. ასეთი იყო ბეჭედითი სიტყვის შეღავათებისა და ქალაქის თვითმართველობის ბედიც. და ყოველივე ეს იყო ნამდვილი ლოგიკური შედეგი არსებულ რეჟიმისა: ცხოვრებას კომპრომისები არ უყვარს — გაბატონებული ძალა ყველაფერს თავისებურათ ქმნის და იმორჩილებს. ამიტომ ჩვენ სრულებით არ გვიკვირს, რომ მესამოცე წლებში ზევიდან დაწყებული შენობა უნიადაგო გამოდგა და ყველა დიდი რეფორმები უშედეგონი შეიქნენ. არ შეიძლება კედლების და სახურავის ამოყვანა უსარძიკლოთ, მაშინდელი რეფორმატორება კი ასეთ გზას ადგა; საზოგადო პოლიტიკური წყობილება ძველებური დარჩა, ხოლო იქა-აქ „შეაპაჩინკეს“ დიდი შენობის პატარა ნაწილები. სამწუხაროთ, საზოგადოების მომზადება და შეგნებაც არ აღემატებოდა ამ რეფორმების შემოღებთა ხალხისადმი კეთილის მყოფელობას, და ამით აიხსნება ის აღტაცება, რომლითაც მიეგებენ ეგრეთ წოდებულ „დიდ რეფორმებს“. მერე, სად იყო დიდი რეფორმები, ან კი შესაძლებელია დიდი რეფორმების მოხდენა უხალხოთ, შესაძლებელია ხალხის საქმის უხალხოთ მოწყობა? რასაკვირველია არა. „რეფორმების“ კი არა ბ ნამდვილი რეფორმის მოხდენა შეუძლია მხოლოთ ხალხს, რომელიც ჩვენ დროში შეუდგა კიდეც საქმეს და ვერც ვერავინ დაუშლის მის დაგვირგვინებას. ეს არის უმთავრესი განსხვავება წარსულსა და აწმყოს შორის და სწორეთ ეს არის თავდებიც ცხოვრების განთავისუფლებისა. ვინც დღევანდელ მოძრაობას ჩაუკვირდება, ის აშკარათ დაინახავს, თუ კი გონებით ბრმა არ არის, რომ მისი ნაშნობლივი თვისება არის წვრილმანებისა და „თანდათანობის“ უარყოფა. მას ვერ აკმაყოფილებს ვერც ის ლიტონი დაპირებები, რომლითაც ორ თვეში ერთხელ მიმართავენ ხოლმე და ვერც წვრილმანი „შეკეთებანი“ შერყეული ბიუროკრატიული შენობისა. ის თხოულობს სრულს განთავისუფლებას, და თხოულობს ამას შეკნებულათ, მტკიცეთ. იცის რომ, რამდენათაც შესაძლებელი იქნება, ბიუროკრატია არ დაიშლის ვაჭრობას, ყოველ ღონეს იხმარს, რაც შეიძლება ნაკლებათ დააკმაყოფილოს იგი, მაგრამ ყოველივე ეს უფრო ამტკიცებს მის შეგნებას და აფართოვებს მის მოთხოვნილებებს. ის, რის მოთხოვნასაც გუშინ ვერც კი ბედავდა მოძრაობა, დღეს აღარ აკმაყოფილებს ხალხს და ეს გარემოება უფრო და უფრო ამწვავებს არსებულ კრიზისს. ყოველი დაგვიანება უფრო სახიფათოა ბიუროკრატიისთვის მაგრამ ამის შეგნება არ არის, ბატონს ბატონობის დათმობა უჭირს, ხალხის კეთილდღეობა უფრო და უფრო ირყევა, ხალ-

ხის მოწინააღმდეგეთ კი ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებათ... აი, ასეთია დღევანდელი დღის მდგომარეობა! ამ დროს ერობიდან საქმის ლიკვიდაცია მეტი რომ არა ვთქვათ, შეუფერებლათ ჩანდა ჩაითვალოს, მით უმეტეს რომ ამის გამორკვეული, რა საჭირო იქნება ის საზოგადო ცვლილება, რომელზედაც იქნება დამოკიდებული ყველა ლეონარჩენ ორგანიზაციათა მოქმედება და კომპეტენცია; არ ვიცით, როგორ განისაზღვრება აღმასრულებლის, მოქალაქის უფლებები, რა ადგილი ექნება მას მიჩენილი სახელმწიფოში: არ ვიცით, როგორი საზოგადოებრივი ცხოვრება იქნება, საპოლიციო უბანი, თუ თავისუფალ მოქალაქეთა სამოქმედო კავშირი ე.ი. არ ვიცით, რა სივრცის და სიმაღლის შენობა გვექნება, და მისი ოთახების ან უკეთ რომ ვსთქვათ ერთი კუნჭულის მოწყობა უნდათ. განა, შესაძლებელია ასეთი ხუროთ—მოძღვრებაზე?

ვფიქრობთ, რომ არა, და როგორც ვთქვით ყოველი ასეთი ცდა უნაყოფო იქნება. უნაყოფო იქნება მით უფრო, რომ კითხვის გარკვევა—შემუშავება განზრახულია როგორღაც ცხოვრების გარეშე, ისევ ძველებური გზით, უფრო შემთხვევითი საბჭოს დახმარებით, ვიდრე ნამდვილი ხალხის წარმომადგენლების მონაწილეობით. აქ ერთმანეთში არეულია წოდება და მეცნიერება, მრეწველობა და მწერლობა—წარმომადგენლებს იწვევენ, ან სახელობით, ზევიდან ან კარჩაკეტილ არჩევნებით! ამათ კი, რასეკვირველია, ვერავინ უწოდებს საზოგადოების წარმომადგენლებს. მაშ რას ეკითხებიან? ვინ არის ცხოვრების და მის მოთხოვნილებათა უკეთესი მცოდნე, ვიდრე თვით ხალხი? დღემდინ ასეთი მხოლოთ ბიუროკრატია იყო კანონის ძალით, ხოლო ამასვე ირჩემებდა ცხოვრებას მოწყვეტილი ინტელიგენცია. ნუ თუ დღევანდელმა ცხოვრებამ კიდევ ვერ გაფანტა ასეთი ცრუ მორწმუნეობა? და თუ არ ჯერათ მით უარესი მათთვის, რადგან ყოველი მათი ნაშრომი ყინულზე აშენებულათ უნდა ჩაითვალოს.

ნ. —ვა.

სხვა და სხვა ამბები.

12 ივლისს დილის 8½ საათზე ოლგის ქუჩაზე ეტლით მიდიოდა თფილისის პოლიცმეისტერი კოვალიოვი. როცა ეტლი მდივანის სახლს დაუპირდაპირდა ვილაცამ ყუმბარა ესროლა პოლიცმეისტერს. ყუმბარა გასკდა და პოლიცმეისტერი სამ ადგილას დაიჭრა, მაგრამ, ექიმების აზრით ჭრილობები საშიში არაა.

— როგორც ამბობენ, პოლიცმეისტერისთვის ყუმბარა სტუდენტ ხერხეულიძეს უსვრია. ხერხეულიძეს პოლიციელები დაედევნენ და ბელვიუს ბაღთან დაიჭირეს. მძიმეთ დაჭრილი ხერხეულიძე ჯერაც არ მოსულა გრძნობაზე.

— გასულ კვირაში ქუთაისის საპყრობილედან თავდებში გაანთავისუფლეს ბუდუ მდივანი, რომელიც წელიწადი და 1 თვე იჯდა ციხეში, რადგან პოლიტიკური დანაშაულის ჩადენა ბრალდებოდა.

— საქარის სანერგეში მუშათა გაფიცვის გამო მუშაობა დროებით შეწყვეტილია,

— საფილოქსერო კომიტეტი წელს, გლეხთა მოძრაობის გამო თავის მოქმედებას სწყვეტს.

— ჩვენ გავიგეთ, რომ რაჭაში თ-დი ჯ. ყიფიანი, რომელსაც ძაბული აღარ გააჩნია, ცდილა მილიციის შედგენას. მოუწვევია თავად-აზნაურნი და რჩევა მიუცია, მაგრამ, როგორც სჩანს, განზრახვა ვერ მოუყვანია ჯერ სრულებაში იმიტომ, რომ მეტი წილი არ დათანხმებულა [illegible] ჯ. ყიფიანი ისევ ბაყალოაღანაგრძობს თავის მოქმედებას(ცნ).

— ს. აბელ მეიდან, ივნ. ატყობინებენ: ამ ორის კვირის წინათ, ღამით, კეთილ-ეროვნული მილიციის ზედამხედველობა ბატონ კალატოზიშვილის სახლის საპაუსკაციაო ასტეხეს საშინელი სროლა ხსენებულ სახლისკენ მომავალ ცხენოსნების წინააღმდეგ. გეგონათ, რომ გლეხკაცები მოდიან და დაცემას და აკლებას გვიპირებენო. მომავალმა ცხენოსნებმაც, რა კი თოფის ხმა გაიგეს, იფიქრეს, ალბათ კალატოზიშვილის სახლს გლეხკაცები იკლებენო, და სროლით გასცეს პასუხი. ატყდა საშინელი სროლა, ოთხმოცამდე ტყვია დაიხარჯა და ბოლოს, ორთავე მხარის სასაცილოთ, გამოირკვა, რომ მომავალი ცხენოსნები მილიციის მეთაური ზ. აბდუშელიშვილი და მისი ამალის ზოგიერთი წევრები ყოფილან

— როგორც ერევნიდან გვატყობინებენ, სისიმანდის თუჯის გადამდნობ ქარხნის თოფის წამლის საწყობიდან უცნობმა პირებმა მოიპარეს 11 ფუთი და 9 გირვანქა დინამიტი, 7 ხის ყუთით- 4 ფუთი, და 14 გირვანქა თოფის წამალი და 129 კაპსული.

— 16 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზედ, კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის თავმჯდომარეობით სასახლეში მოხდა კრება საეროთ დაწესებულებათა შემოღების შესახებ მოლაპარაკება.

— ოთხშაბათს, 13 ივლისს, მესამეთ წარსდგენ ნამესტნიკის წინაშე გენერალ ამილახვრის-მიერ ქართლიდან გამოგზავნილ გლეხების დეპუტაციები. სულ 48 კაცი იყო ცხინვალისა და მეჯვრისხევის საბოქაულოებიდან. ნამესტნიკმა ამ დეპუტაციებს სიტყვა-სიტყვით იგივე გაუმეორა, რაც წინა დეპუტაციებს, და გააფრთხილა—მთავრობასთან უთანხმოება არ გამოგადგებათო.

— საქარის სანერგის გამგე აგრონომი სტაროსელსკი დაინიშნა ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობის ალმასრულებლათ.

დაბა-სოფლის ამბები.

სოფ. შუხუთი (გურია). შუხუთშიაც ყოველ უქმე დღეს იკრიბებიან გლეხები თავიანთ სკვერო საგნებზედ მოსალაპარაკებლათ. კვირის 5 ივნისს თავი მოიყარა 500 კაცმა და ქალმა ეკლესიის გალავანში, კრების მიზანი იყო გამოეკვლია თუ რამდენი უმუშევარი ოჯახი იყო დავარდნილი და რამდენი ქცევა უნა ქონდათ (ამ დავარდნილებს) გასამრჯელოი. როდესაც დატყვრათ გამოიკვლიეს უველაფერი, შემდეგ ორატორმა მიმართა კრებას; «აი ამხანაგებო, ამდენი ოჯახია ჩვენს სოფელში უმუშო ხელით დავარდნილი, უნა უფუძლებათ უმარგლავი და რადა ძმობა იქნება თუ არ გავუწვდით ხელს და გავიერებულს არ წამოვაყენებთ?! საჭიროა, ამხანაგებო, დავეხმაროთ გაჭირებულთ, ხელი გავუწოდოთ და მით ვიხსნათ შიმშილით საკვდილისგან!..» ,,მზათ ვართ ყველა! მზათ!'' დაიძახა ხალხმა ერთხმათ.

მეორე დღეს, რიცხვით ასმა კაცმა მოიყარა თავი სოფლის ერთ კუთხეში და სადმომდი ყველას უნა დაემუშავებინა. ამასთან სავურველებოა ისიც, რო უნის ბატრონები ხარჯისათვის არ შეუწუხებიათ, თვითოეულს თავისი სადღი მოუვიდა სახლიდგან. ჩემის მხრით მე გუსურვებ დღე-გრძელობას ასეთ კეთილი საქმისთვის ამ ბერთ, ვინც არ დაიზარა და სამუშაოზედ თავის ნებით გამოცხადდა.

მამაკაცებს გურიაში არც ქალები ჩამორჩენ. ქალებიც შეუდგენ თავიანთი საქმეების მოწესრიგებას და წარმომადგენლების ამორჩევას.

სუფხოვო ზომები მიიღეს „უპატიოსნო“ ქალების განსასწორებლად. დღეს გურული სოფლელი ქალი თუ კაცი ერთნაირი უფლებით—თანასწორად ვრიან და კრებებზედ ერთნაირ აქტიურ მონაწილეობას იღებენ თავიანთ საქმეების მოწესრიგებაში.

სოფლელი გლეხი.

—

ხოტევი. დრონი იცვალეს და მასთან მთელი სახოგადოების აზროვნებაც თან შეიცვალა:
ხალხის უმეტესი ნაწილი მხურვალე მონაწილეობას იღებს დღეს სახოგადოებრივ ცხოვრებაში. თითქმის ყველაზე უფრო კონსერვატიულ ელემენტებს, სამღვდელოებასაც კი უხილავს თვალი ცხოვრების სინამდვილემ, ჩაითრია თავის ზვირთებში, აბობოქრა და აჯმაურა.

16 ივნისს სოფ. ხოტეველ ეკლესიის გალავანში მოიყარეს თავი ერთათ ქვემო რაჭის ოცი სოფლის მღვდლებმა და მეღვინეებმა, რათა მოელაპარაკებინათ თავიანთ ჭირვარამზე: ვირველათ შეეხენ მღვდლები იმ კითხვას, თუ როგორ დაეკმაყოფილებინათ მეღვინენი, რომელნიც მოითხოვდენ მღვდლებისგან ყოველდღე მათი შემოსავლის მესამედ ნაწილს. მღვდლები ორ ბანაკათ გაიყვენ: ერთ მათგანს, უფრო ბროგრესიულ ელემენტებისაგან შემდგარს სურდათ დაეკმაყოფილებინათ მათი მოთხოვნილებანი—მეორე, კონსერვატორები კი გაიძახოდენ: „ჩვენ თვითონ შემოვიღით ვახოტებით, ხალხი ჩვენ დრამას ადარ გვაძლევს, ახალი თობა ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებულა და ხალხს „გვიბუნტებს;“ ჩვენ არ შეგვიძლია მეღვინეებს მესამედი ვაძლიოთ, მოვახსენოთ მთავრობას ჩვენი გაჭირვება და რასაც გადაწყვეტენ მაზე დავეთანხმებით.“

ამ სიტყვებზე ვირველი ჯგუფის ერთმა მღვდელმოვანმა მოკლე, მაგრამ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა საზოგადოთ ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობაზედ, და აგრეთვე მეღვინეებზედაც: „მამანო!“ გაისმა ხმა მდ. კ... „ჩვენ სამღვდელოება აქამდის ხალხს გონებას გუბნელებდით, გრძნობას გუხშობდით და თან ჯიბეში ხელსაც გვწყოფდით, რომ იმისი ოფლით და სისხლით მოვგებული გროში ჯიბიდგან ამოგვეკლიჯა; ჩვენ მათ ინტერესებს არ ვემსახურებოდით, ჩვენ ვიცავდით მათი მეკლეფავის ინტერესებს, ეხლა კი როდესაც ცხოვრების სინამდვილემ თვალი აუხილა, ნათლათ დაინახეს, თუ ვინ არის მათი მტერი, ვინ მეკობარი. ჩვენ მტრებათ გამოგვაცხადეს და ჩიზღით გვიტქერიან. იგინი მართალი არიან, ამიტომ ჩვენც ჩვენ ამხანაგებთან ერთათ ხალხს შეუერთდეთ და მათთან უსამართლობას შეეებრძოლოთ. ეხლა, რაც შეეხება მეღვინეებს, განაგრძო მღვდელმა, მათ არა თუ მესამედი, არამედ ნახე: ვარიც კი ეკუთვნის თქვენი შემოსავლიდან: ხომ იცით, მამანო, რომ ფულები, რომელსაც თქვენ იღებთ მთავრობისაგან, ეკლესიის ნათესავია, მაშ, ნუ თუ სამართალი არ იქნება, მათი ფულებიდან მესამედი მაინც მიიღონ? იგინი თქვენზე ნაკლებს არ შრომობენ; ამიტომ შემოსავალი შრომის და გვარათ, რომ განაწილდეს უფრო სამართლიანია.“ ამ სიტყვებზე მეორე ჯგუფის მღვდლებმა ერთ ხმათ წამოიძახეს: მთავრობიდან დანიშნულ ჯამაგირებს და ნურც დრამას ნუ შეეხებით! ჯამაგირი შრომის და გვარად კი არა, დირსების და გვარათ უნდა იყოს დანიშნული, შეღვინენი თან და თან ფიცხლებოდენ და გაიძახოდენ: „თურმე მართალი ყოფილა, რასაც მღვდლებზე ამბობენ: ისინი თავიანთ კუჭისთვის იბრძვიან და ჩვენი ტოლ-შეალის ჯავრი ადარ აქვთ, თუკინდ შემოვიღითაც იხოტებოდენ მაინც. ჩვენ გავიფიცებით, არც წირვაზე მოვეკრებით, არც ნათლაზე და არც ქორწინებაზე. ამ სიტყვებზე ვირველათ მღვდლები უეცრადენ, რომ უთქვენოთაც შეეძლია წირვა-ლოცვა შეასრულოთო, ბოლოს კი იძულებულნი შეიქნენ დათანხმებოდენ ვირველი ჯგუფის მღვდლების წამოეენებულ აზრს და დაადგინეს შემდეგი რეზოლუცია: „თუმცა ჩვენმა შემოსავალმა იკლო და ადვილი შესაძლებელიც არის სულ მოეგვესპოს მომავალში, მაგრამ ვალდებულად ვთვლით მეღვინეებს შესამედი ჩვენი ყოველივე შემოსავლისაგან.“ ეს რეზოლუცია წაუკითხეს მეღვინეებს და ისინიც დაეთანხმენ.

დასასრულ მღვდლებმა დაადგინეს: მაშინ როდესაც ჩვენ სხვებთან ერთათ ბიუროკრატიის ბროტესტს გუცხადებთ, ბევრი ჩვენგანი თურმე ხალხში ვოლიციიდან გამოგზავნილ ბროკლამაციას ავრცელებს, ამიტომ საეკლესიო გამოეცხადოს ამისთანა ვირებს.

ხოტეველი ქალი.

—

ასხაბადი. ამ დღეებში აქ, სადგურთან სამხედრო სავაჭროში, გარდაიცვალა სტამბროვსკი—მესწავლებელი ასხაბადის ვაჭრთა გამოსაზაისა. სტამბროვსკი ექვსი თვე ცოხეში იჯდა. მას ბრალდებოდა სადგურთან მუშათა შორის მთავრობის საწინააღმდეგო აზრების და არა დეკანური დიტერატურის გავრცელება. 23 მაისს ტაშკენტის სასოლქო სასამართლო სესიამ გაარჩია მისი საქმე და ორი წლით ციხეში დაჭატმრება გარდაუწყვიტა. თუმცა სტამბროვსკი ახალგაზრდა და ჯანსაღი კაცი იყო, მაგრამ კასპიის ზღვის გამოდმა მხარის ცუდმა ჰაერმა და ციხის აუტანელმა რეჟიმმა ცუდი გავლენა იქონიეს მასზედ, ავათ გახადა,და უდროთ წუთი სოფელს გამოასალმა. რადგანაც ქალური ციხე სრულიათ მოკლებულია სავათმეოფოს, ავათ გამხდარი ტუსაღები სამხედრო ან სამოქალაქო სავათმეოფოში გადაყავთ ხოლმე, მაგრამ სტამბროვსკის ავათ მეოფობის დროს ეს ჩვეულება მხედველობაში ადარ მიუღიათ; მხოლოდ მაშინ, როდესაც ავათმეოფს ბერისახე და ხელები დაუშავდა და უველასათვის ცხადი შეიქმნა მისი სიკვდილის აუცილებლობა, გადაიყვანეს სამხედრო სავათმეოფოში, სადაც რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

სტამბროვსკის დასათვალვებას დიდძალი ხალხი დაესწრო. დაიკეტა მთელს ქალაქში მაღაზიები, დუქნები, სტამბები, რკინის გზის სახელოსნოები და და მოსწავლე ახალგაზრდობა ქალი თუ კაცი, მუშები და კანტორებში მოსამსახურენი „Вы жертвой пали въ борьбѣ роковой“-ს სიმღერით მისდევდენ კუბოს უკან, რომ ჯეროვანი პატივი ეცათ თავისი ძვირფასი მასწავლებლისათვის.

კუბოს წინ მიუძღოდა მრავალი გვირგვინი წითელ ლენტებზე „სამართლისათვის მებრძოლს“, „უსამართლობის მსხვერვლს“ და ბევრი მაგგვარი სიტყვების წარწერით. გზაზე ზოგიერთებმა სავგულისხმო სიტყვები წარმოთქვეს, რაგორც მაგ. სოლქო სასამართლოს წინ, გიმნაზიის წინ, რაგორც რუსულათ ეგრეთვე სომხურათაც. როცა პროცესია მიუახლოვდა სატუსაღოს, რომლის წინ უნდა გავეყოთ, ტუსაღთა თხოვნით შეჩერდენ. ტუსაღები ფანჯრებიდან აეურებოდენ. ერთმა ტუსაღმა (პოლიტიკურმა დამნაშავე ცატურომა) სიტყვა დაიწყო, მაგრამ მცველებმა გაუწყვიტეს და ფანჯარას მოაშორეს. ხალხი ადგილს და მოითხოვა სიტყვის გაგრძობის ნება მიეცათ, მაგრამ ჯარისკაცებმა ციხის უფროსის თანხმობით ფანჯრებიდან ხალხში სროლა ასტეხეს. სროლის დროს არავინ არც მომკვდარა და არც დაჭრილა. რა ნახა ხალხმა, რომ სადგომებთან სიტყვით ბრძოლა არ შეიძლება, გაჰყვა უკან კუბოს სასაფლაოზე, სადაც მშვიდობიანათ უკან დაბრუნდა.

ს. ა.

უცხოეთის ქრონიკა.

გერმანიის მთავრობა და სოციალიზმი.

ცნობილი „კომუნისტური მანიფესტი“ კ. მარქსის და ფრ. ენგელსისა შემდეგი სიტყვებით იწყება: „ევროპაში გამოჩნდა საშარელი აჩრდილი—აჩრდილი კომმუნიზმისა“. ის

„აჩრდილი“, რომელმაც ჯერ კიდევ ამ სამოცი წლის წინეთ დააშურთხო ფუფუნებით და მცონარებით გარემოცული ძლიერნი ამა ქვეყნისანი—დღეს მრისხანეთ აიმართა და მთელი თავისი ძლიერებით დასცქერის ქვეყანას მედიდურათ და წარბ შეუხრელათ. ახლა ყველასათვის თვალ საჩინო გახდა „საზარელი აჩრდილი“ და დინჯს და დარბაისელ ბურჟუაზიას რაღაც მოუსვენრობა და შეწუხება დაეტყო. ის ახლა და ახლა უწინდებურათ ვეღარ უხვევს გვერდს პროლეტარიატს, რადგან უკანასკნელმა საკმაო ძალა და გამოცდილება შეიძინა; იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს მუშათა კლასის პარტიას და ეს გარემოება არა ერთსა და ორ ბურჟუას აგდებს საგონებელში. რაც დრო გადის, უფრო და უფრო იზრდება და ძალღონეს იჩენს დაჩაგრულთა ბანაკში მყოფი უმრავლესობა, უფრო და უფრო ფართოვდება მისი გავლენა დღევანდელ სახელმწიფოთა საქმეებზე. ამ უკანასკნელ დროს გერმანიაში მომხდარ ინციდენტმა კიდევ უფრო გაუზარდა სახელი სოციალ დემოკრატიას და ქვეყანას დაანახვა, თუ რა ძალა ინახება მუშათა კლასში. 23 ივნისისთვის გერმანიის სატახტო ქალაქ ბერლინში სოციალ-დემოკრატებმა დანიშნეს კრება, რომელზედაც ფრანგ სოციალისტს ჟორესს რეფერატი უნდა წაეკითხა. რეფერატის ტემა იყო: „მსოფლიო მშვიდობიანობის იდეა და საერთაშორისო რევოლუციის სოლიდარობა“. ასეთი განზრახვა გამოიწვია საფრანგეთსა და გერმანიას შორის ამას წინათ მომხდარმა კონფლიქტმა (უთანხმოებამ), რომელიც კინაღამ აქ ორი სახელმწიფოს შეტაკებით დაბოლოვდა. გერმანიის მთავრობას ვერაფრათ ესიამოვნა სოც.-დემოკრატების მიერ განზრახული კრება და გერმანიის იმპერიის კანცლერმა თავადმა ბიულოვმა აცნობა საფრანგეთში გერმანიის ელჩს, რომ ჟორესი აღარ შეწუხებულიყო ბერლინში გამოსამგზავრებლათ; უარი ჟორესის ბერლინში ჩამოსვლაზე თავ. ბიულოვმა დიპლომატიური მლიქვნელობით შეალამაზა და საფრანგეთის სოციალისტებს ქება-დიდება შეასხა. კანცლერის ასეთმა საქციელმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია დასავლეთ ევროპაში. ბურჟუაზიულმა გაზეთებმა დაგმეს ბიულოვის განკარგულება, რადგან ამ განკარგულებამ მთელი ქვეყნის ყურადღება მიიქცია და დაამტკიცა, რომ გერმანიის ძლიერ მთავრობასაც ეშინია თურმე „საზარელის აჩრდილის“. ჟორესმა კი თავის გაზეთის ფურცლებზე პასუხი გასცა გერმანიის კანცლერს. პასუხს სახელათ ქვია „შიში წინაშე სოციალიზმისა“. ჟორესი სხვათა შორის სწერს:

„დიპლომატიური ცნობა, რომლითაც გერმანიის იმპერიის კანცლერმა აკრძალა ბერლინში დანიშნული კრება გვაჩვენებს, თუ როგორ გავრცელებულა სოციალიზმი და რაოდენათ გაძლიერებულა მისი მნიშვნელობა ეროვნულ და საერთაშორისო საქმეებში. რაც უფრო ზრდილობიანათ და მოხერხებულათ უქიცინებს კუდს კანცლერი ფრანგ-სოციალისტებს, რომელთაც ამასთანავე სიტყვის უფლებას ართმევს, მით უფრო ცხად ყოფს შეწუხებას, რომელსაც თვით უძლიერესი მთავრობანიც კი გრძნობენ სოციალიზმის წყალობით. მართლაც და, ჩვენ ხომ მხოლოთ მშვიდობიან პროპაგანდისათვის ვემზადებოდით და არა რომელიმე მთავრობის თავ-დასასხმელათ და ასაკლებათ. მარა, რადგან ასეთ განზრახვას სოციალისტები აცხადებენ—მას ნებას აღარ რთავენ ხოლმე. ასეთ არეულ-დარეულ დროში, ყოველი მთავრობა იძულებულია ყური დაუგდოს საერთაშორისო პროლეტარიატს, როგორც ომის მოწინააღმდეგე ფაქტორს. და თუ მთავრობა ამას არ იზამს და პროლეტარიატის ხმას აბუჩათ აღებას დუაპირებს—მაშინ კიდევ უარესი მისთვის, რადგან თვით პროლეტარიატი ნებას არ მისცემს, რომ მას გვერდი აუხვიონ. არა თუ ჩვენ, პროლეტარები, არამედ ყველა მშვიდობიანობის მოტრფიალე ადამიანებიც მტრული თვალით შეხედავენ ამ მთავრობას, რომელიც აკრძალავს ომიანობის წინააღმდეგ მანიფესტაციას. ევროპის სოციალიზმი, რომელიც ერთათ ერთ მომქმედ და ძლიერ პარტიას წარმოადგენს, რომელიც მშვიდობიანობას იცავს, მილიონობით მოიპოებს მოხრეებს.»...

სოციალ-დემოკრატების კრება, მიუხედავათ იმისა რომ მას ჟორესი ვერ დაესწრო—მაინც შესდგა. კრებაზე წაიკითხეს ჟორესის ტელეგრამმა. რომელშიც ის აზრია გატარებული, რომ, რაც უნდა ეცადოს მთავრობამ ერთი ერის მეორეს წინააღმდეგ ამხედრება—პროლეტარიატი მაინც ერთია, სხვა და სხვა სახელმწიფოს პროლეტარიატი ერთ და იმავე მიზნით არის გამშვალული, მათ ვერავითარი ძალა ვერ დააშორებს ერთი მეორეს. თუ რომ ერთ ჩვენგანს სცემენ—ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ყველას გვცემენ და თუ ერთ ჩვენგანს, აქებენ ეს ყველას საერთო ქებაა. ტყვილათ გონიათ ჩვენი ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრების განზრახვით რამე გაიტანონ. პირ იქით ამით ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროთ გვაერთებენ ერთი მეორესთან, და მხოლოთ თავის შიშს ამჟღავნებენ, შიშს სოციალიზმის წინააღმდეგ. ტელეგრამას კრება აღტაცებით მიეგება და შემდეგი საპასუხო დეპეშა გაგზავნა:

«მეტის მეტი სიამოვნება აღძრა ჩვენ გულში თქვენი დეპეშის მამაცურმა სიტყვებმა. ძმურ სალამს გითვლით თქვენ და მთელი საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიას. ბურჟუაზიას სურს დაქსაქსოს საერთაშორისო პროლეტარიატი, მაგრამ ამ განზრახვას სოლიდარულ წინააღმდეგობას გაუწევს საერთაშორისო პროლეტარიატი. ჩვენ შორის არ არსებობს არავითარი კონფლიქტი და უთანხმოება. ჩვენ ვიცით მხოლოთ ჩვენი საზოგადო საქმე, ჩვენი საზოგადო მიზანი.“

ᲒᲐᲙᲕᲠᲘᲗ.

ამ ბოლო დროს ჩვენში დაარსდა რამოდენიმე ინტელიგენტისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელმაც თავის თავი ავტონომიის მომხრეთ გამოაცხადა. ამ ჯგუფს მიემხრო თავადაზნაურობა და მღვდელ-მონოზნები. ყველა ამათ დღეს მეტათ გაუცხოვლდათ ხალხისადმი სიყვარული. ისე არასფერს იტყვიან ან არ დაწერენ, რომ საქართველო, ქართველი ერი, ქართველი მუშა და გლეხი არ ახსენონ. მათი სიტყვით ქართველი ხალხის მხსნელნი, მათი ინტერესების დამცველნი მხოლოთ ისინი იყვენ და არიან. ყველა მათ, ვისაც მართლა ხალხთან ჰქონია საქმე, ხალხისთვის ტანჯულან, ხალხის კეთილდღეობისთვის დაულევიათ თავისი სიცოცხლე—ყველა ესენი ავტონომისტების სიტყვით ხალხის მტრები არიან, ხალხს ატყუილებენ, ყალბ გზაზე აყენებენ. ერთი სიტყვით, არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რომ „მესამე დასა“ ხალხის თვალში დამცირონ. ვინ მოსთვლის რამდენ ჰორს არ ავრცელებენ!!

მაგალითათ ისინი ავრცელებენ ხალხში იმ აზრს, რომ „მესამე დასელები“, როგორც პროლეტარიატის ინტერესების დამცველნი, ცდილობენ ხალხი გააღარიბონ, მის გაღატაკებას ხელი შეუწყონ. ამას ვითომ მარქსის მოძღვრება ასწავლიდეს მესამე დასელებს .. ავტონომისტები ეუბნებიან ხალხს: თქვენ იტანჯებით და ულბედურნი ხართ სიღარიბის გამო, მესამე დასელები კი თქვენ უფრო მეტათ გაღარიბებას ცდილობენ, მოკლებულნი საკუთრებას, თქვენ გინდათ საკუთრების შეძენა—მესამე დასელები კი ბედნიერების დამყარებას საკუთრების მოსპობით ცდილობენ,.. დახეთ რა ყალბ გზაზე

დგანან? ნუ დაუჯერებთ მაგათ, დაგვიჯერეთ ჩვენ, რომელთაც თქვენი გამდიდრება გვინდა და არა გაღატაკება, მესამე დასელები ცდილობენ ხელოვნურათ შექმნან სიღარიბე და მაზედ ააშენონ მომავალი საზოგადოებრივი წყობილება, ჩვენ კი გვინდა გამდიდრებით გავახორციელოთ სოციალიზმი, შევქმნათ ძმობა ერთობა და თანასწორობაო!! აი მოკლეთ ის, რასაც ეს ვაჟბატონები ხალხს ეუბნებიან. ოი უვიცნო და საბრალონო!! თუ ზემოხსენებული ბავშვური მსჯელობა გონების სისუსტით მოგდით, მეტათ შესაბრალისნი ხართ, მაგრამ თუ ამ ჭორს განზრახ თხზავთ, მეტათ საზიზღარი რამ ყოფილხართ. აბა დაასახელეთ ერთი სტრიქონი მაინც იმ მოძღვრებისა, რომელსაც მესამე დასელები მისდევენ, სადაც ნათქვამი იყოს, რომ ხალხის გაღარიბებას ხელი უნდა შეუწყოს, რომ საჭირო და სასიამოვნო იყოს ეს გაღარიბება; არა, ერთი წიგნი, ან ბროშიურა მოგვინახეთ მაინც, სადაც ეგ თქვენგან განგებ მოჭორილი ამბავი ეწეროს!

ო, საცოდავნო! მაგ ბავშვური ტიტინით გინდათ დაარწმუნოთ ხალხი?! ხალხი, რომელიც, თქვენდა სამწუხაროთ, უკვე გამოფხიზლდა და ნათლათ არჩევს მტერსა და მოყვარეს, ბრუნდსა და სწორ გზას!!...

თქვენ არ გესმით, მაგრამ ხალხმა კი კარგათ იცის, რომ მხოლოთ მარქსის დიდებული მოძღვრების მიმდევარნი არიან მათი ინტერესების დამცველნი, მათი მეგობრები, იცის რომ ყველა მშრომელი ხალხის შეერთებით, კლასობრივი გათვითცნობიერებით, სოლიდარობით და არა განცალკევებით შეიძლება მაღწიონ მათ თავიანთ მიზანს.

კარგათ ესმის ხალხს, რომ ავტონომია კავკასიაში, სადაც მრავალი სხვა და სხვა ერებია ერთმანეთში არეული, მათთვის საზარალოა, რომ ეს ავტონომია მოასწავებს ერთი ერის მეორეზე გაბატონებას შუღლსა და მტრობას, უკეთ რომ ვთქვათ, კაცთა მჭამელობას, რაც მეტათ აფერხებს მუშათა პარტიის განვითარებას... თქვენ არ იცით, მაგრამ ხალხმა იცის, თუ ვინა ხართ თქვენ, ქართველი ბურჟუაზიის განვითარების მოტრფიალენო! თქვენ არ უმტკიცებდით ხალხს ამ სამი წლის წინეთ, რომ სომხები ქართველების მტრები არიან, რომ მათ შორის არაფერი საერთო არ არსებობსო!!. თქვენ არ გაიძახოდით, რომ რაღაც საერთო ინტერესებისთვის ქართველმა მუშებმა თავის მტერ ქართველ ბურჟუაზიას მხარი უნდა დაეჭირონო, ეცადონ მის გაძლიერებას, რისთვისაც თავიანთი ინტერესები მის ინტერესებს უნდა დაუმორჩილონო!!. ხალხის მეგობრები ვართო!.. სტყუით და ათასჯერ სტყუით!.. სად იყავით მაშინ, როდესაც ისე საჭირო იყო ხალხისთვის მუშაკნა, რატომ ერთხელ, ერთხელ მაინც არა მოიღეთ ხმა ხალხის სასარგებლოთ, რათ გარბოდით განგანზე მაშინ, როდესაც მრავალ ტანჯულ ხალხს შიოდა, პურსა და სამართალს ითხოვდა?! თქვენ ქართული ბურჟუაზიის განვითარებას უქადაგებდით მაშინ იმათ, ხოლო თქვენი მოკავშირე თავად-აზნაურნი და მღვდელ-მონაზნები ასი წლის იუბილეის იხდიდენ, დღესასწაულობდენ... მაშინ თქვენ, თფილათ და რბილათ, კაბინეტებში ისხედით და გულ-გრილათ შესცქეროდით მათ ბრძოლას, არა თუ თანაუგრძნობდით, თქვენ ჰკიცხავდით კიდეც მათ... მესამე დასელები საქართველოს ღუპავენო, განგაშობდით მაშინ... ალბათ გრძნობდით, რომ თქვენგან ათვალისწუნებული პროლეტარიატი თქვენ ყალბ «ნაციონალიზმს» ბოლოს მოუღებდა, თქვენ სიყალბეს გამოაშკარაებდა!.. ეხლა ხალხმა იცის ვინ არის მისი მტერი და ვინ მოყვარე, მიხვდა და შეიგნო, რომ მხოლოთ პროლეტარიატის თავგანწირულ ბრძოლას შეუძლია ქვეყნათ ბოროტობა, ცარცვა—გლეჯა, უმცირესობისაგან უმრავლესობის ყველაფა მოსპოს და [illegible] თესი საზოგადოებრივი წყობილება დამყარდეს [illegible] მშრომელმა და ჩაგრულმა საზოგადოების ელემენტმა იცის ახლა, რომ მუშათა ინტერესების დამცველი პარტია არის ქომაგი არა თუ მარტო მუშისა, არამედ ყველა ჩაგრულისა.... ეს პარტია გახდა დღეს ჩვენში ეროვნულ პარტიათ, რადგანაც მას მიემხრო ქართველი ერის უმრავლესობა. ქართველი ხალხი ხედავს პროლეტარიატის ძლიერებას, მის შესამჩნევ ზრდა-განვითარებას, თავ-განწირულ ბრძოლას უკეთესი მომავლისადმი და დარწმუნებულია, რომ მის ზრდას ვერ შეაჩერებს ვერაფერი და თამამათ მიდის თავის დიდებული მიზნისკენ—სოციალიზმისკენ. მერე საზარალოა ხალხისთვის მუშათა პარტიის გამარჯვება!? სრულებითაც არა, პირ იქით, ის საზოგადოებრივი წესწყობილება, რომლის გულისთვისაც იბრძვის მუშათა პარტია მოასწავებს ყოველგვარ ექსპლუატაციის მოსპობას... მუშები ვერ გაინთავისუფლებენ თავს ექსპლოატაციისგან, თუ არ მოსპეს ყოველგვარი გაჩივრება, ყოველგვარი ექსპლოატაცია. ამის გამო ისინი ებრძვიან ყოველ ექსპლოატატორს, იცავენ ყოველ გაჩივრებულს. .

ჩვენი მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ მუშათა პარტია, რომელიც თავის მოძღვრებას ეკონომიურ განვითარებაზე ამყარებს, დაინტერესებულია კაპიტალიზმის განვითარებაში, წვრილ მესაკუთრეთა, ხელოსანთა და წვრილ მოვაჭრეთა დაღუპვაში, მათი სიტყვით ეს პარტია ხალხის გაღატაკებას აჩქარებს, მას ხელს უწყობს, რათა თავის მიზანი განახორციელოს... მეტი რომ არა ვთქვა—მეტათ სასაცილოა ამ ნაირი მსჯელობა. ეს თქვენ გინდათ, ბატონებო, ხელოვნურათ ხალხის გამდიდრება, გამდიდრებით სოციალიზმის დამყარება.

ამბობენ, რომ მუშათა პარტია უმთავრეს ისტორიულ ფაქტორათ აღიარებს მხოლოთ ეკონომიურ ფაქტორს, რომ ამ პარტიის აზრით სოციალისტური წესწყობილების დამყარება შეიძლება მხოლოთ მაშინ, როდესაც მსხვილი წარმოება სამუდამოთ გაძევებს წვრილ წარმოებას; ამ ნაირათა, ამბობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი ნაციონალისტები და ძმანი მათნი, მუშათა პარტია დაინტერესებულია წვრილ ხელოსნების, წვრილ მოვაჭრეების, წვრილ გლეხკაცობის დაღუპვაშიო და, როგორც დაინტერესებულნი, ყოველ ღონისძიებას უნდა ხმარობდენ მათ დასაღუპავათო.

ამაზე მხოლოდ ასე შეიძლება უპასუხოს კაცმა: მუშათა პარტია კი არ ახდენს ეკონომიურ ევოლუციას:—წვრილი წარმოების გაძევება მუშათა პარტიის დაუხმარებლათ ხდება არავითარი საბუთი არ აქვს მუშათა პარტიას, რომ მან ამ ეკონომიურ პროცესს ხელი შეუშალოს და ვერც შეუშლის ხელს. რომ კიდეც მოინდომოს, რადგანაც ამ პროცესის განვითარება დამყარებულია რკინის კანონებზე, რომლის დაწერა ჩვენ ნებაზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ უნებურათ ხდება ეს ეკონომიური განვითარება, ჩვენ უნებურათ ისპობა წვრილი წარმოება, ჩვენ უნებურათ ვარდება ათასობით და ათიათასობით ხალხი სიღარიბეში... ეს ცხადზე უცხადესი ფაქტია, მაგრამ მუშათა პარტია მაინც ვერ ისურვებს ამ ეკონომიური განვითარების შეჩერებას. ზევითაც ვსთქვით რომ ამ პროცესს ვერავინ შეაჩერებს და ამიტომ ყოველივე ცდა ამისათვის წარმოადგენს უდიდეს სისულელეს; იმასთანა სისულელეს, როგორიც ჩაიდინეს ინგლისელმა მუშებმა, როდესაც, კონკურენციის მოსასპობათ, ფაბრიკების განადგურება განიძრახეს. დიახ, მუშათა პარტია არა ცდილობს კაპიტალიზმის განვითარების შეფერხებას, არც იმას ცდილობს, რომ წვრილი წარმოება ისევ ისე ფეხზე დააყენოს, დაღუპვისაგან იხსნას,

მის განვითარებას ხელი შეუწყოს. ეს თქვენა გსურთ ჩვენო მოწინააღმდეგენო, მაგრამ, გარდა იმისა რომ თქვენი სურვილი ყოველთვის სურვილათ რჩება—ეგ სურვილი გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ყოველივე ცდა თქვენი მხრით, რომ ეგ თქვენი სურვილი განახორციელოთ, წარმოადგენს უნაყოფო დროს დაკარგვას და სხვას არასფერს. თქვენი უსაფუძლო ლაპარაკით და დაპირებით, სარგებლობის მაგივრათ, ვნება მოგაქვთ გლეხებისთვის და წვრილ ბურჟუაზიისთვის, რადგანაც ამით უნერგავთ მათ გულში უნაყოფო ოცნებას, უბნელებთ გონებას და აყენებთ იმ ნაირ ნიადაგზე, სადაც ის ვერასოდეს ვერ დაიცავს თავის ინტერესებს, ვერ გაიუმჯობესებს თავის მდგომარეობას.

წვრილი წარმოების მოსპობა აუცილებელია. ეს, როგორც წინეთა ვთქვით ჩვენი სურვილების წინააღმდეგ ხდება; ჩვენ უნებურათ მოქმედობს კაპიტალიზმის სასტიკი ძალა, ჩვენ უნებურათ ღარიბდება ხალხი და ვარდება კაპიტალიზმის ბრჭყალებში. განა კარგია ხალხის გაღარიბება, განა მუშათა პარტია დაინტერესებულია ამ გაღარიბებაში?! სრულებითაც არა, პირ იქით, მუშათა პარტია მეტათ დაინტერესებულია, რომ ეს გაღარიბება აო ხდებოდეს, რადგანაც რაც უფრო სიღარიბის უფსკრულში ვარდება ხალხი, მით უფრო უძნელდება მას ამ უფსკრულიდან ამოსვლა და შებრძოლ პროლეტართა რაზმში ჩარევა. მუშათა პარტიის ძლიერება დამოკიდებულია არა გაღატაკებულ ხალხის გამრავლებაზე, არამედ მებრძოლ მუშათა კლასის ზრდა-განვითარებაზე. რაც უფრო ვითარდება ცხოვრება, იზრდება მოთხოვნილება, მით უფრო აუტანელი ხდება გლეხისთვის და ხელოსნისთვის ცხოვრება, მით უფრო ღვივდება მას სურვილი თვისი აუტანელი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის.. ის ეძებს მომქმედ, მებრძოლ ძალას, ჩაგრულთა მოსარჩლე პარტიას და პოულობს კიდეც მას. ამ ნაირათ თან და თან იზრდება და ვითარდება მუშათა პარტია. მართალია, როდესაც სასიკვდილოთ გამზადებული წვრილი ბურჟუაზია, პროლეტართა ექსპლოატაციით, თავის გადარჩენას ცდილობს, მუშათა პარტია მთელი თავის ძალ-ღონით ეწინააღმდეგება ამ ექსპლუატაციას, მაგრამ იგივე პარტია სულით და გულით მომხრეა იმ ზომებისა, რომელიც არ ეწინააღმდეგება რა პროლეტარიატის ინტერესებს, აუმჯობესებს გლეხ-კაცის და წვრილ ბურჟუაზიის მდგომარეობას, უადვილებს მათ ცხოვრებას. ამ ნაირ ზომებს წარმოადგენს: არა პირდაპირი გადასახადის მოსპობა, პროგრესიული, შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დაარსება და სხვ.... ამასთან ერთათ მუშათა პარტია იბრძვის და თხოულობს დაბეგრავებული ხალხის გონებრივ ამაღლებას, ბავშვების უსასყიდლოთ სწავლას, მათ საზოგადოების ხარჯზე ჭმა-სმას, ტანსაცმელს, თხოულობს, რომ ღარიბ ხალხს. შეეძლოს უსასყიდლოთ ექიმობა და სასამართლოში მისი ინტერესების დამცველათ უსასყიდლო ვექილის ყოლა.

მხოლოთ ამ ნაირ ზომებს შეუძლია წვრილი მწარმოებლის მდგომარეობა გააუმჯობესოს, რამდენათაც ეს შესაძლებელია თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რამდენიც უნდა ვეცადოთ, წვრილ მწარმოებელს დაღუპვისაგან ვერ ვიხსნით. ყველას მათ ვერ გავამდიდრებთ, კაპიტალისტებათ ვერ გავხდით. აი სწორეთ ის პარტიები, რომელთაც თავის თავი გლეხებისა და წვრილ მწარმოებელთა ინტერესების დამცველათ მოაქვთ, გლეხკაცობისა და წვრილ მწარმოებელთა პირველი მტრები არიან.

მუშათა პარტია ეხმარება და ცდარჩება წვრილ მწარმოებელს არა როგორც მწარმოებელს, არამედ როგორც მხმარებელს (потребитель), რადგანაც წვრილი მწარმოებელიც და გლეხკაცობაც იძულებულნი არიან, თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ სხვილი წარმოების საქონელს მიმართონ, ე. ი. ძალა უნებურათ, სხვილ წარმოებას უვარდებიან კლანჭებში; მოკლეთ რომ ვთქვათ, მუშათა პარტია ეხმარება მათ იმდენათ, რამდენათაც ისინი სხვილი წარმოების მიერ დაჩაგრულ ელემენტებს წარმოადგენენ.

რა შედეგი მოსდევს ამ ნაირ დახმარებას? რაც უფრო უმჯობესდება წვრილი წარმოების და გლეხის მდგომარეობა, რაც უფრო ფართოვდება მათი მატერიალური და გონებრივი მოთხოვნილება, რაც უფრო მეტ ოვითცნობიერებას შე-ძენენ ისინი, მით უფრო მიხვდებიან, რომ მათი ქიშპობა და კონკურენცია სხვილი წარმოების წინააღმდეგ ამაოა, შეიგნებენ რომ შიმშილი მეტათ უსუსური იარაღია სხვილი კაპიტალის და წარმოების წინააღმდეგ და შეგნებულათ დათავის ნებით პროლეტართა მებრძოლ რაზმში გადაველენ... ერთი სიტყვით, მუშათა პარტია ხალხს ვამდიდრებას არა პირდებს, გამდიდრებით სოციალიზმის დამყარება მას სისულელეთ მიაჩნია, ხოლო მათი მქადაგებელნი ჩვენი მოწინააღმდეგე ნაციონალისტ-ავტონომისტ-ფედერალისტები—გონებით ღატაკ და ბურჟუაზიის მოტრფიალე პარტიათ, რომელიც ხალხზე და მათი ინტერესების დაცვაზე ისე შორს არიან, როგორც ცა დედამიწაზე....

სან—დონი.

დრონი იცვალენ ანუ მწარე ფიქრები.

სამი მონოლოგი

II

ᲕᲐᲭᲐᲠᲘ.

ვაჭარი.—შუა ხნისა, წარ-შკვრული სტილით ზის და „ჩოჩქს“ ანგარიშობს) ათი... ესეც ოცდა ხუთი... სამოცდა შვიდი... აქაც ოთხმოცდა თოთხმეტი.. (კარგა ხან ატკაცუნებს ანგარიშის თვლებს, მერე „ჩოჩქს“ იქით გადასდებს და მძიმეთ ამოიოხრებს) ო...ოჰ, ღმერთო! ე რა უბედური წელიწადი იყო! მძიმეთ იყვეს მაგი ფეხი! (ხელებს შეშვენტით) სამას-ოთხას თუმანზე ხელი დავიბანე, რალა, ჩალაგამოვლებული დავრჩი! შემოგვნატვრიან-კია— „ქეყანასა ჰყვლეფავთო, ჯიბეს ივსებთო!“ ისე თქვენი ჯიბე იყვეს, როგორც ჩემია წრეულ! თქვენი მტერი, რაც ჩვენ წრეულ საქმე დაგვემართა! სადღაა უწინდელი ვაჭრობა, აღემ-მიცემა, მოგება, ფულის ხვეტა! ამ ზაფ-ცვებმა კი ილაჯი წაიღეს და! კაცო, ე რა სენი შემოვიდა, ე რა ჰაერმა დაბერა?! ჰირი და ხორველა მირჩევნიან ამასა! ამან ყველას გაგვაჭლო მუსრი! კვირაში სამჯერ რიგიანათ არ გამიღია დუქნები, გამიკითხეთ მიიცა! „პრიკაშჩიკებმა“ რვა საათის სამუშაო დღე მომინდომეს, უქმეობით დასვენება... რა არი,—გავს კდეთ და დავთვრეთო! მაშ არა და, მამა უცხონდებათ, „ანგლიცკი კლუბში“ გაატარებენ დროსა! ორი საათიც საღილ-საუზმისთვის... ერთი სიტყვით, სუ ჩახოხბილსა და «ბლოშანებსა» სჭამენ, რო საათიც არ იკმარებს! მეშინიან, ერთბაშათ ცხრა-ცხრა ფეხი არ დაადგეთ ყელზე! ჩვენ დროში დაეწყოთ ეგენი!—ისეთ აბრაგანს გაადენდნენ, რო თვალები პერში დარჩენოდათ! სად იყო წინათ ეგ «ნეტ-ნი-მაროჭონობა!» იქვე «სტოიკაზე» ერთ-ორ ლუკმას შევყლაპაბდით და ის იყო და ისა, სალამომდინ ბაყაყები გვიჭყაოდნენ მუცელში! ალარას დაგვიკლებდნენ ჩვენი «ხაზეინები», რო წამ და უწუმ დუქნიდან დავეთხოვნეთ, აი გაზეთის წაკითხვის

ნება მიეცათ! ვაი ქვეყნის ოხრობასა, რო მაგათაც „ჩიტაირობა“ დაიწყეს, რო სამაგითოთაც გახდა წიგნები!.. «სუფთა ჰაერიო!» მამა გიცხონდებათ, ახლა «ლადიკალონებიც» მომინდომეთ! ძიენაც ნუ გაჰეტყლარჭებით, მამაშვილობასა, და!.. „ზრდილობიანი მოპყრობაო!“ ხმ! «პრიკაზჩიკობის» დროს ისე მიბრახუნებდნენ თავში, როგორც კაი რუსულ დალაბანდს, მაგრამ კრინტს ვერა ვძრამდი! ეგრე რო არ მექნა, ხო დღეს ერთი აბაზის სარჩო-საბადებელიც არ მექნებოდა! დიდი რამ არი, რო „ხაზეინმა“ ხელი გაუუაცუნოს და ორიოდე სიტყვა უთხრას—ეგება რაზეა გაბრაზებული, ეგება გუნებაზე ვერ არი. როგორ ეკადრებათ, დუნდუკ-კორსაკოვის ჩამომავლები ბრძანდებიან! იმას კი არა ფიქრობენ, რო ჩვენ რო არ კიყვეთ, შიმშილითაც ამოწყდებიან! რათ უღირთ, რო პურს ვაჭმევთ და ლუკმას ვაშოვნინებთ! მაგრამ დანახვა აქვთ, სიკეთის დაფასება იციან?! ექიმიც რო მომინდომეს!—რატო სიცილი არ წაგსკდებათ! მე თვითონ რო ავათა ვხდები, ბევრჯერ ყაირათსა ვწევ, უდოხტუროთ გადავდიკარ და ხინითა ვწამლობ ჩემ თავსა. „წელიწადში ერთი თვე დასვენება, ჯამაგირის შენახვითაო“. არა, ეგ მამაცხონებულები, რომელი მინისტრები ბრძანდებიან, რო უარარაოთ ფული იღონ?! ნეტა, „ოტპუცკებს“ რო თხოულობენ, როშელ „დაჩაზე“ აპირებენ? „ნამესტნიკთან“ თუ მიუპატიჟნიათ! თანაც რო თავზე კაკალს გვანტვრევენ: „გინდა თუ არა, ჯამაგირები მოგვიმატეო!“ ბიჭოს! ერთ დროს მუქთათაქა მყავდნენ და ახლა მაგასაცალარ სჯერდებიან?! ისე გამოდის, რო ჩვენ მაგათთვისა ვართ და და არა ეგენი ჩვენთვის! ბარე მთელი მაღაზიაცა მთხოვონ, რაღა! გამომაგდონ და თვითონ დაჯდნენ! ნუ გეშინიან, მალე ეგეც იქნება! მა რასა ჰქადაგებენ „საცვიალისტები“—„მდიდრებს უნდა წაერთვათ და ღარიბებს მიეკეთო“... აი, თქვენ ჰკუასა და სამართალს კი რა უთხრა! მე ვიშრომო, წელებზე ფეხი დავიდგა, ფული მოვიგო და ვილაც მუქთა ხორა მამაძაღლმა კი ხელიდან გამომტაცოს, ხა?! ეგ ხო კაცის კვლაც არი, ეგ ხო ყაჩაღობასაც არ ჩამოუვარდება! (ბავშვის შემდეგ, თავის ქნევით) ა...ახ! ერთი პირი არა ჰქოხდეთ, ისეთ პანღურს უპერდი, რო მეორე აღარ მოზდომებოდათ! მაგრამ რა გაეწყობა, «როგორც გიჟირდეს, ისე გილირდესო!» სამუდამოთ ხო ვერ ჩავკეტავდი დუქნებსა... მე და ჩემმა ღმერთმა, ახი კი იყო, რო ჩვენც მანთაშოვისეფ, წიხლი დაგვეპირა და ჰკუა გვესწავლებინა მაგ ლაპუსტრაწებისთვის! უნახოთ, როგორ მუხლის ჩოქით შეგვეხვეწებოდნენ ისევ მიგვიღეთო! მაგრამ „სანამ პავლე მოვიდაო, პეტრეს ტყავი გახძვრაო“... გავკოტრდებოდით... ჩვენ სად შეგვიძლიან მანთაშოვებს დავედაროთ... არა, ეგ სვინდისზე ხელ-აღებულები, რატო ჩვენ გაჭირებაში კი არ შემოდიან?!—ეს პატენტიო, «ნალოგებიო», დუქნის ქირაო—მერე რა მამასისხლათ აფასებენ და! ე პოლიციელებმა ხო ტვინი ამოგვწოდეს! შემოვლენ და რაც მოეწონებათ, მუქთათ მიაქვთ! ეს ცოლსაო, ეს შვილსაო, ეს ქალსაო, ეს «დუშკასაო»... შენ რო ოც-და ათი «დუშკა»-«მაშკაცა» გყავდეს, ჩემი რა გადასახადია?! ხმას გასცემ და, ისეთ ალაგას ამოგაყოფინებენ თავსა, რო, მგონი, ჰაერიც გენატრებოდეს! მე და ჩემმა ღმერთმა ტყუილათ კი არ ებუნტებიან... (ხელებს უკან დაიწყობს და დაფიქრებული ივლის) „ერთმა თაგვმა ას კოკიანი წაპილწაო“... მოსამსახურეებიც რო ფეხის ხმას აჰყვნენ! იმათაც რო ჯამაგირის მომატება და ერთი თვით დასვენება მოითხოვეს! რომელ ერთ ჭირ გაუძლოს კაცმა, არ ვიცი! თანაც „ყოველ დღე ორი თავი საჭმელიო“... ბიჭოს! მე ეგება ცარიელ ყველზე და პურზედაც მინდა გადავიარო და შენ სად გიმზადრა ყაბულ-ფლიტვები?!—გაგონილა და თქმულა ამნაირი ცეცხლი?! „ცხრა ჯათის შემდეგ ხმა აღარავინ გაგვცეს, აღარაფერზე დაგვასაქმონო“... ერიხა...ა...ა! მე ბევრჯერ ღამის სამ საათზედაც ვბრუნდები შინა, მაშ კარებს ნუ გამიღებ და ქუჩაში დამაგდე! თვითონაც არ იციან საცოდავებმა, რასა რო ჯამენ! «ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო»! მაგრამ ყველაზე სასაცილო ის არი, რო „პენციაც“ მომინდომეს! მაშა, მაშა! მიკვირს, მუნდირი რაღათ დაავიწყდათ, რატო ის კი არ ჩაატანეს? კამედიაა, რაღა, კამედია! ამისთანა სეირს „ტრიატრში“ სამ მანეთათაც ვერა ნახამ! «ყური არ გაიზდებაო»! რა გაზდის, როცა ამისთანები ესმის! პენცია რო მომცენ, ხო მე თვითონაც დავდგები მოსამსახურეთ! ის გამოდის, რო დღეს ბატონები ეგენი არიან, ჩვენ მაგათი მოხნები! ერთი სიტყვით, ამ «საცვიალისტებმა» ქვეყანა ყირამალა გადაატრიალეს რაღა! სოფელიც რო აურ-დაურიეს! ისინი უარესსა სჩადიან! კისერი მომტყდა, რაღაც ასიოდე თუმანი გავასესხე გლეხებზე და ღამის დამეწვას. სარგებელს ვიღა ჩივის, თავნსაც აღარ იძლევიან და!—„რაც სისხლი გვწოვე, ისიც გეყოფაო!“ წადი და ელაპარაკე! საშან, პატიოსნათ, მანათში სუ თავ-თავი კოდი პური ავიღე, წრეულ აი ხახა გამშრალი დავრჩი! თავადებიც იფრინეს და აბა მე რას მიმიშვებენ?! მართალი მაგარი ვექსილები მიჭირამს, შემიძლიან ვიჩივლო, მაგრამ ე მანდ რო სადმე გამაპარჭიკონ?! რა, გასაცარია?—ვერა ხედავთ, როგორ კალიასეფ სწყვეტენ ხალხსა! ამბობენ „კამიტეტისგან“ არიო... სხვები რა გავამტყუნო, როცა თვითონ შინვე მითხრიან მიწასა, როცა ჩემივე შვილები მიბუნტებენ «პრიკაზჩიკებსა» და მოსამსახურეებსა! ყოველ დღე ასასივით დამდგომიან და მითავთავებენ: „შენ გლეხებს ნუ ჰყვლეფამო! მშრომელ ხალხს ნუ სტანჯავ და ატყავებო!“ ბიჭოს! გესმით?! უი, თქვე არაკაზადებო, თქვენა! (ფეხს ატყაპუნებს) მაგისთვის დავხარჯე ერთი კალთა ფული?! მაგისთვის გავგზავნეთ უნივერსეთებში?! მერე წრეულ ხო ასოცი თუმანი სუ წყალში გადავყარე? „სტუდენტების“ ზაბავტოვკაო, თუ რაღაც ჯანდაბა, და ორთავენი პანღურ-ამოკრულები კარზე მომადგნენ! კაცის საქმე რო წავა, წავა! მაგ ზარალს რაღა მომაგონებდა?! არა, ვინ მე, ვინ „საცვიალისტობა?! ა...ახ, მცოდნოდა?—გემნაზიის კარებს კი ვასუნებინებდი?! ისე გამოდის, რო ჩემ მტრებათ გამოვზარდე, რაღა! თითქო მაგათთვინ არ ვიკლამდე თავსა, თითქო მაგათთვინ არ ვიტეხდე ღამესა და დღესა! ვ...ეხ! ნეტა ციხის წერა არ გახდნენ და ჯახრუ-ჯანაბას, რაც უნდა იყბედონ! კაცო, აღარ უნდა დამშვიდნენ, აღარ უნდა დაწუნარდნენ?! აღარ უნდა მოასვენონ თავის თავიცა და ჩვენცა?! რა ვიცი, რაღაც „კანსტანტუნციას“ ელიან... ნეტა ერთი ჩქარა მიაქვავონ და მიეგდნონ თავისთვისა!

ნ. აზიანი.

ფელეტონის მაგიერი.

„კლასთა ბრძოლა“

თავადი სიკო თაქარიანოვის ერთათ ერთი ასული კნიაჟნა ცაცუ, პატარა კოპწია ტანისა და უმაღლეს წერტილამდის განვითარებული ნერვების პატრონი, საქანელა სავარძელში იჯდა და ქანაობდა.

მიუხედავათ ქართველ თავადთა ჩვეულებისა, სიკო თავქარიანოვს ტყის მრეწველობისათვის მიეყო ხელი და «ღვთის შეწევნით» კარგა ბლომათ სამდრე შეეძინა. ორი კვირის წინ, მოთმინებიდან გამოსულ სიკოს მუშებს, გაფიცვა მოეხდინათ და ბატონისათვის მოთხოვნილებები წარედგინათ. სიკოს არ მოეწონა მუშების ასეთი საქციელი, რადგანაც მუშებს „შვილებსავით უყურებდა» და თოთხმეტ საათზე ერთი ჩეთიც არ დაუკლო. ბოლოს მისი თხოვნით საქმეში პოლიცია ჩაერია და მუშების წინააღმდეგ იარაღიც იხმარეს. შეტაკების დროს ერთი მუშა სასიკვდილოთ დაიჭრა, ოთხი კი მძიმეთ.

ამ ამბავმა ცაცუს ნერვებზე დიდი გავლენა იქონია და მთელი დღე მოწყენილი იჯდა ოთახში. მაგრამ რადგანაც იმისი «პაპა» სრულიათ მართალი იყო და მუშები სტრაჟნიკებმა დასჭრეს, მღელვარება მალე დაუცხრა. ესეც არ იყოს ცაცუ სხვა მხრივაც ამართლებდა სიკოს.

— მართლა, „აქაო და შენ ბევრი გაქვს, და მე ცოტა მაქვს, ამისათვის შენ წაგერთოს და მე მომერთოსო» ეგ როგორი სამართალია? პაპას თუ ბევრი აქვს, თავისი შრომით შეუძენია! სხვისთვის ხომ არაფერი წაურთმევია? ტყეც ხომ მამა-პაპეულია?! მა რაღას უნდირდენ ნეტავი? შეშურდათ სხვისი ქონება გაუმაძღრებს და იმიტომაც დაისაჯენ.

დღეს დილით ცაცუ სავარძელში სრულიად დამშვიდებული იჯდა და რაღაცა პატარა წიგნაკს ფურცლავდა. ცაცუმ სამი თვეა რაც გიმნაზია დაასრულა, სადაც სხვათა შორის ზედ მიწევნით შეისწავლა ქართული ისტორია, რაის სიყვარულიც ცხონებულმა ბებია მარიამმა ჩაუნერგა გულში. გარდა ამისა ცაცუს გვარეულობა დიდათ სახელ განთქმული იყო ძველათ, ქართველ მეფეების დროს და ისტორია ცოტაოი ამანაც შეაყვარა. აი ამ მიზნით ცაცუს გადაეფურცლა ყველა ქართული წიგნი, მოსე ჯანაშვილიდან დაწყებული ვასილ ურუშაძის სახელმძღვანელომდე. ენახა აგრეთვე თედორე ჟორდანიას და ექვთიმე თაყაიშვილის ისტორიული ქრონიკები და მრავალი ძველი ბერებისაგან დატოვებული ხელ ნაწერები. წაკითხვით კი წაკითხული ქონდა იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის» ისტორიული ნაწილი ათ-თორმეტ სირიელ მამათა ისტორიითურთ.

მკითხველისათვის ცხადია, თუ რა ვრცელი წარმოდგენა ექნებოდა კნიაგინა ცაცუს მსოფლიო ისტორიაზე, მაგრამ ამის და მიუხედავათ ერთი რამ მას ძლიერ აწუხებდა. როგორც თავ-მოყვარე ადამიანი ის სხვას არასოდეს, არაფერს არ კითხავდა და დიდს გასაჭირში იყო ჩავარდნილი. ცაცუს გასაჭირი იმაში მდგომარეობდა, ხომ ვერას გზით ვერ გაეგო, სად, ან როდის, რომელი მეფის დროს მოხდა «კლასთა ბრძოლა», რომლისთვისაც არა ერთხელ მოეკრა ყური.

— არ ვიცი ღმერთმანი რავქნა, მწარეთ გაიფიქრებდა ხოლმე ის, სად მოხდა ნეტავი ეს კლასთა ბრძოლა?... მუხრანის მინდორზე ფარანაოზმა ბერძნები დაამარცხა—ამას მუხრანის ბრძოლა ჰქვიან; ვახტანგ გორგასლანი რომ ბიზანტიელებს ეჩხუბებოდა, იმას ბიზანტიის ომი ჰქვიან. დავით აღმაშენებელმა რომ თურქებს შავი დღე დააყენა, იმას თურქებთან ბრძოლას ეძახიან. თამარ დედოფლის დროინდელი შამქორის ომი ხომ არ შეიძლება კლასთა ბრძოლა იყოს. იქ თამარს შამქორი ეომებოდა. (კნიაგინას შამქორი ხელმწიფის სახელი ეგონა) არც კრწანისის ომია კლასთა ბრძოლა. იქ ერეკლე კახი თათრებს ეომებოდა და კლასი რა მოსატანია? მაშ რას მიედმოედებიან ნეტავი! ვის ატყუილებენ რავქნა, მართლაც როსადმე ყოფილიყო ასეთი ბრძოლა მოსე ჯანაშვილს ან სხვა ისტორიკოსებს გამორჩებოდათ? დიახაც რომ არა... მაგრამ მოდი ერთი ჟორჟიკასა ვკითხამ.

დივანზე წამოწოლილი ახალგაზრდა ყმაწვილის მორიდებით შეჰყურებდა ცაცუს და მდუმარეთ ადგა. — ეს ბატონია წიგნაკიც ამ ყმაწვილს, ჟორჟიკა ფედერალიძეს მოეტანა ცაცუსათვის და ყოველი ღონის-ძიებით ცთილობდა თავისი აზრებით ცაცუს სათუთი გონება გაემაგრებინა.

— გაათავეთ კნიაგნა?

—დიახ, გადავხედე; მშვენიერი წიგნია.

— თქვენ ისე ჩქარა კითხულობთ, თითქო ქართულ გემნაზიაში დაგესრულებიოთ სწავლა და არა რუსულში.

— ახ, ნეტავი ერთი კი მოვესწრებოდე ქართულ გემნაზიას და ხელ-ახლა დავუბრუნდებოდი.

— ჩვენც სწორეთ ამისთვის ვიბრძვით, რომ ყველაფერი ქართული დაგვირჩეს: ქართული სკოლა, ქართული ეკლესია, ქართული პოლიცია, ქართული ჯარი.

— აჰ გენაცვალე! რა კარგი იქნება ქულაჯგებიანი აფიცრები. ნეტა მართლა კი მოვესწრებოდეთ.

— ეს არ არის ისე ძნელი, მხოლოთ შრომა სჭირია, მებრძოლები გვაკლია. თქვენ აქ ტყეილათ ხიხართ და საქმის შესრულება კი შეგიძლიათ.

— როგორ, მე უნდა ვიბრძოლო?

— განა საქმე მარტო ბრძოლაზეა? ჩვენ საშვალება გვჭირია. აი მამა თქვენს ბევრი ქონება აქვს. თქვენ ეცადეთ რომ შემწეობა ამოგვიჩინოს.

— «პაპას» ამაზე რაღა ლაპარაკი სჭირია; განა თითონ არ იცის, რომ თუ ავტონომია გვექნება მისთვის უკეთესია. ჩვენი გვარი ძველათ, მეფეების დროს ძლიერ სახელგანთქმული ყოფილა და ისტორიაშიაც სწერია.

— საქმეც ეგ არის რომ ეს მისი ინტერესიც არის. ჩვენი მდიდარ-ღარიბები, როგორც ძველათ ბატონ-ყმები, მუდამ მამაშვი-ლურათ ცხოვრობდენ და შემდეგშიაც ასე უნდა იცხოვრონ. მე პირდაპირ უარსა ვყოფ ჩვენში კლასთა ბრძოლის არსებობას. ყველა ქართველის ინტერესი ერთგვარია—ქართული ენა, ქართული ეროვნება ტერიტორიალურ ფარგალში.

— კლასთა ბრძოლას ყველა ქართული ისტორიკოსები უარსა ყოფენ.

— არ არსებობს და მაშ ტყვილს ხომ ვერ დასწერენ.

ცაცუ სრულიათ კმაყოფილი დარჩა. ის ახლა საბოლოოთ დარწმუნდა: კლასთა ბრძოლა, ეს მოჩორილი ისტორიული ამბავია და სხვა არაფერია. იმ დღიდან ის ყველას გადაჭრით ეუბნება: კლასთა ბრძოლა ჩვენში არ არსებობს; საქართველოს ავტონომია უნდა; ყველა ქართველს ერთ ნაირი ინტერესი აქვსო. №

განმარტება.

(ბ. ი. გომართელს).

ბ. ივ. გომართელს ძლიერ მოსწონს თავისი კლასსიკური „მეორე წერილი", რომელიც წინეთ «მოგზაურს» გამოუგზანა, მაგრამ როცა აქ არ დაიბეჭდა „ივერიაში" გაასაღა. ამის წინააღმდეგი ჩვენ, რასაკვირველია, არაფერი გვაქვს და არც არაფერს ვიტყოდით, რომ საყვედური არ გადმოესროლა ჩვენი რედაქციისაკენ. „ამ „გლეხისადმი წერილების" დაგვიანების მიზეზი ის არის რომ „მოგზაურის" რედაქციამ აღარ დაბეჭდა და, მიუხედავათ ჩემი სამგზის თხოვნისა აღარც და-

მიბრუნა უკანო“ ბრძანებს ბ. გომართელი „ივერიის“ მეთაურათ წასულ წერილის შენიშვნაში (№ 114). მე მგონია, თუ მას მიერ ახლათ არჩეულ გზას მტკიცეთ არ გაყვა ბ. გომართელი და შორს არ შეტოპა „საერთო ნიადაგის“ ძებნაში, მოვა დრო, და თითონ იტყვის, რომ „მოგზაური“ უფრო კეთილის მყოფელი ყოფილა მისი, ვიდრე „ივერია“. მაგრამ ეს მომავალზე მკითხაობა გამოგვიდის და თავი დავანებოთ. თვით ამ სამ სტრიქონშიც შეპარვია ბ. გომართელს შეცდომა, და რადგან მან საჭიროთ დაინახა ამ ამბის გამოფენა, ჩვენ მოვალეობათ მიგვაჩნია შევუსწოროთ ფაქტიური მხარე. ეს „დაგვიანებული მეორე წერილი“ ბ. გომართელმა ჯერ კიდევ იმ დროს გამოგზავნა ჩვენ რედაქციაში, როცა მისი პირველი წერილი მხოლოთ აწყობილი იყო. რედაქციას, რასაკვირველია, მაშინ ის მეორე წ—ლი არ გადაუთვალიერებია, თორემ არც ავტორს ჩააყენებდა უხერხულ მდგომარეობაში და არც თავის თავს—ორივესთვის უმჯობესი იქნებოდა, რომ არც პირველი დაგვებეჭდა — ჩვენ არ მივცემდით მკითხველს ერთ ნაგლეჯს მისი „წერილებისას“, თითონ კი დროზე მიაგნებდა უმჯობეს ბინას და ამ რიგათ ორივე მოგებული დავრჩებოდით. სამწუხაროთ ამხანაგის წერილები ასეთის ეჭვის თვალით არ გაგვისინჯავს და დაგვებეჭდეთ „პირველი“. „მეორემ“ ყველა რედაქციის წევრები, გაგვაკვირვა. გააკვირვა რედაქციის გარეთ მყოფი ამხანაგებიც. ის ბევრით წინ იყო „ივერიაში“ დაბეჭდილ „მეორე წერილზე“, როგორც „საერთო ნიადაგის ტრფიალებით, ისე კლასთა ბრძოლის უარყოფით. ორივე ისე „მშვენიერათ“ იყო შიგ დასაბუთებული, რომ არა თუ ახალ-გამოცლილი, ძველი „ივერიაც“ სიამოვნებით დაბეჭდავდა' ის „ივერია“ რომლის სულის ჩამდგმელს კლასთა ბრძოლა ისე ესმოდა, რომ თავის ენაზე „შენ წაგერთოს, მე მომერთოსო“ თარგმნიდა. ასეთ წერილს, რასაკვირველია, ჩვენ ვერ დავბეჭდავდით ჩვენ გაზეთში და ეს ვაცნობეთ ბ. გომართელს. მან გვთხოვა დაბრუნება **გასასწორებლათ**. ჩვენც ვაახლეთ და გასწორებული მოგვივიდა, თითქმის იმ სახით, როგორც „ივერიაში“ დაიბეჭდა*). ეს ის რედაქციაა, რომელზედაც შეცვალა მან „მოგზაურისთვის“ პირველი რედაქცია. არც ეს დაიბეჭდა, როგორც უკვე იცით, და მაშინ მისი დაბრუნება მოითხოვა (სამჯერ იყო ოთხჯერ არ დაგვითვლია), მხოლოთ ეს კი მართალია რომ დაბრუნება დაეუგვიანეთ, თუმცა მისი წერილის გამოსვლამდინ უკვე გადაცემული ქონდა იგი ერთ-ერთ ამხანაგს დასაბრუნებლათ. აი სრულათ ბ. გომართელის „წერილის“ ისტორია... არ დავბეჭდეთ მისი წერილი, რადგან რედაქციის შეხედულებას არ ეთანხმებოდა, ხოლო შენიშვნებით მუდმივი თანამშრომელი—ამხანაგის ნაწარმოების დასტამვა უხერხულათ მიგვაჩნდა. ამით ვხელმძღვანელობდით ჩვენ და გვგონია ამისთვის საყვედურს ვერ გვეტყვის ვერც მკითხველი და ვერც საქმეში ჩახედული ამხანაგი. ივ. გომართელი კი სხვა **გზას დაადგა**, და „ივერიის“ მკითხველებთან დაგვაბეზღა. ამაზე წინეთ კიდევ „ცნობის ფურცელში“ გამოაცხადა თავისი კრედო (რწმენა) წოდებათა განწყობილების შესახებ. ერთის სიტყვით, ბ. გომართელმა ყოველი საშვალება იხმარა ეცილებინა თავიდან იქვი, რომ იგი არ ჰადაგობს „წოდების წოდებაზე მისევას“, თუმცა არ ვიცით, რომელ სერიოზულ კაცს შეეძლო ასეთი იქვის გაცხადება გომართელზე, ან იმ ორგანოზე საცა პირველი წერილი დაიბეჭდა. ვის აქვს ამის საბუთი გარდა ისეთებისა, რომელთანაც ბ. გომართელმა საჭიროთ სცნო თავის გამართლება და რწმუნება, რომ იგი არ არის წოდებათა წინააღმდეგი. მაგრამ თავის მართლება კიდევ არაფერია—კაცია და გუნებაო, მოგეხსენებათ; აქ სამწუხარო ის არის, რომ თავის და უნებურათ ბ. გომართელი ისეთ პროვოკაციას ეწევა (რასაკვირველია, შეუგნებლათ) როგორიც იყო ქუთათურ „კეთილშობილ ინტელიგენტთა დეკლამაცია“, და რომლის წარმოდგენამაც სახეზე სირცხვილის ალმური უნდა წაუკიდოს, ამხანაგს კი არა, გარეშესაც, როცა ჩაუკვირდება თავის საქციელს! მართლაც და რა არის თუ არა პროვოკაცია, იმისი თქმა: „მე არა ვარ წოდების წოდებაზე მისევის თანახმაო“. მერე ვინ არის ამის თანახმა, რომელი მომქმედი პარტიაა ასეთი? ამის თქმა იგივეა, რაც ქუთათურ ინტელიგენტთა მოწოდებაა მომქმედ პარტიისა მიმართ: ნუ დააწვევინებთ, ნუ ამოაჟლეტინებთ თავადებსო. ნუ თუ არ ესმის ბ. გომართელს, ვინ და როგორ ისარგებლებს ასეთი განცხადებით?!. ეს „ცნობის ფურცელში“ მოთავსებულ წერილს შეეხება, რომელიც საკმაოთ გაარჩევს საზოგადოთ ხოლმა ამხანაგებმა („მოგზ.“ № 25) და ჩვენ მაზე აღარ შევჩერდებით. იმავე წერილში საკმაოთ არის აღნიშნული ბ. გომართელის (მაშინ შომავალი) წერილის ტენდენცია და არც ამას გავიმეორებთ, მაგრამ საჭიროთ მიგვაჩნია კიდევ მცირეოდენი ილლიუსტრაცია ჩვენზე გამწყრალი ავტორის აზრის ნათელსაყოფათ.

ბ. გომართელის წერილის აზრია აუხსნას თავის „მკითხველ-გლეხს“, რომ მან **„წოდება წოდებას არ დაუპირდაპიროს“** და ებრძოლოს „საპოლიტიკო მოწინააღმდეგეს—ბიუროკრატიას“. საინტერესოა, როგორ ასაბუთებს ამ აზრს ავტორი. ვილაპარაკოთ მისი სიტყვებით. რა არის ბიუროკრატია? ბ. გომართელი გვპასუხებს: „იმგვარს რთულ საზოგადოებაში, როგორიც წარმოშობა დღევანდელმა ცხოვრებამ, **გაბატონებული კლასები ცალკე გამოიყოფენ ხოლმე ერთ განკერძოებულ ჯგუფს, რომელიც კლასთა შორის ბრძოლას თვალყურს ადევნებს და არსებულ წყობილებას იცავს. ამ ჯგუფს საზოგადოებისას ეწოდება... ბიუროკრატია. რადგანაც ბიუროკრატიის ძალა დამკვიდრებულია გაბატონებულ კლასზე, ამიტომ ბიუროკრატია იცავს მხოლოთ გაბატონებუ კლასის ანუ შენი მოწინააღმდეგის ინტერესს.** ბიუროკრატია, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, რომ დაჩაგრულებმა კრიტიკის ძაძვრა ვერ გაბედონ და მათ დამჩაგვრელთა წინააღმდეგ განძრევა ვერ შესძლონ, შენი საპოლიტიკო მოწინააღმდეგეა...“ („ივ. № 114, სვეტი მეორე“).

მივიღოთ ეს განმარტება და დავიხსომოთ, რომ ბიუროკრატიას გამოიყოფენ გაბატონებული კლასები თავიანთი ინტერესების დასაცველათ.

ვინ არის და როგორია გლეხის ეკონომიური მოწინააღმდეგე? ამაზედაც გომართელი მოგვცემს პასუხს.

„შენი ეკონომიური მოწინააღმდეგეა ერთი ნაწილი თავად-აზნაურობისა (მეორე ნაწილი „იმგვარსავე ტაფაში იწვის როგორც გლეხი (sic!).

„ძლიერია შენი ეკონომიური მოწინააღმდეგე, ასწავლის ბ. გომართელი თავის „მკითხველ-გლეხს“, — ის ძირს უთხრის შენ კეთილდღეობას. თუ შენ ხშირად გშია, ბევრჯელ გცივა და გწყურია, თუ შენ მოკლებული ხარ ადამიანურ საზრდოს და სადგომს,—ამგვარს შენს სიღატაკესა და და დაბეჩავებაში დიდი წილი უდევს შენს ეკონომიურს მოწინააღმდეგეს“, ე. ი. თავად-აზნაურობის მიწათმფლობელ ნაწილს. ეს ნაწილი „არის თავად-აზნაურო-

*) ძლიერ გწუხვართ, რომ იმ რედაქციის პირი არ დაგვიტოვებია, რომ მოგვეყვანა სანიმუშოთ ზოგიერთი ადგილები მაინც და მით დაგვენახვებია რისი თქმა სურდა ბ. გომართელს. მისი აზრი იქ უფრო აშკარათ იყო გამოთქმული.

ბის ისეთი ნაწილი, ცოტათ თუ ბევრათ შეძლებული, რომელიც გლეხის დამჩაგვრელია. ეს ნაწილი ართმევს საბალახეს, ართმევს ნაშრომს ნადელების სახელით, გლეხის ნაოფლარის უმეტესი ნაწილი მას მიაქვს''. აი ასეთია საეკონომიო მოწინააღმდეგე, გომართელის განმარტებით. და ამას შემდეგ ეუბნება ავტორი ,,გლეხ-მკითხველს'', ,,შენ არასოდეს არ უნდა დაუპირდაპირო, გლეხობა თავად-აზნაურობას როგორც წოდება წოდების, არამედ უნდა დაუპირდაპირო როგორც მიწის მომუშავე მიწის მესაკუთრე (ს)'' და განაგრძნობს, მაშინ დაინახავ, რომ ერთი ნაწილი ჩვენი თავად-აზნაურობისა შენსავით ღარიბ-ღატაკიაო'' და სხვ. მერე, განა, თითონ ბ. გომართელმაც კარგათ არ იცის, რომ ამ ღარიბ-ღატაკს და დაჩაგვრის არ შემძლე ნაწილს თავად-აზნაურობის, რამდენათაც ის ასეთია, არავინ არ ებრძვის? პირიქით, არა-მკითხველმა-გლეხმაც კარგათ იცის, რომ ასეთი ნაწილი შესაძლებელია მასვე ამოუდგეს გვერდში, რამდენათაც შეძლებს თავისი წოდებრივი პრივილეგიების დავიწყებას. ესეც კარგათ იცის ბ. გომართელმა, მაგრამ მაინც იმეორებს ამ ტრუიზმს (გაცვეთილი აზრია). იმეორებს იმიტომ კი არა რომ ვისიმე დარწმუნება სჭიროდეს ამაში, არა, ეს მას საერთო ნიადაგის ხიდათ უნდა, გლეხობას უკავშირებს თავად-აზნაურობის გაღატაკებულ ნაწილს და აქედან შეძლებულ ნაწილთანაც ადვილია დაკავშირება. აი ეს არის მისი წერილის ,,ГВОЗДЬ''-ი, რომელიც შემდეგი სიტყვებით აქვს გამოთქმული: ,,ყოველგვარ ბრძოლის დროს ორგვარი იარაღია მოსახმარისი: გონივრული საშუალება—შეთანხმება, და ველური საშუალება—მუშტი. ყოველგვარ ბრძოლის დროს პირველ საშუალებას უნდა მიმართო. არც ერთს წამს არავითარს შემთხვევაში, არავითარ გატაცებისა და აღელვების დროს არ უნდა დაივიწყო, რომ სიცოცხლე და ოჯახი ადამიანისა, ვინც უნდა იყოს ის, ხელ-შეუხებელია და იძულებულმა ადამიანმა მხოლოდ მაშინ უნდა შეახოს მას ხელი, როდესაც ყოველგვარი სხვა საშუალება მრაყალჯერ უნაყოფოდ არის ნაცადი. მე ამით, ჩემო კარგო, შინაურ უთანხმოების ,,ჩაფუჩეჩება'' კი არ მინდა. არა, **ბრძოლა შინ შენთვის საჭიროა, აუცილებლად საჭირო; შეუძლებელია იცხოვრო აწი იმგვარ პირობებში, როგორშიაც დღემდე ცხოვრობდი. მხოლოდ არ უნდა გაამწვავო შინაური ბრძოლა და არ უნდა გავიწყდებოდეს, რომ თუ მთელი შენი ძალღონე და ყურადღება შინაურ მოწინააღმდეგეს გადააღიე, დასუსტებულსა და ღონე გამოლეულს, გარეული მტერი უფრო მძლავრად ჩაგიჭერს ხელს''**, ე. ი. ეკონომიური ბრძოლა უკუ აგდე და პოლიტიკურს შეალიე შენი ძალღონე. კარგი და პატიოსანი, ვთქვათ დაგიჯერათ ეს თქვენი რჩევა ,,მკითხველმა-გლეხმა'' და დაიწყო თქვენი რეცეპტით ექიმობა. შეუდგა თქვენებურათ ,,სა(?)პოლიტიკო მტრის'' ძებნას თქვენსავე წერილში. ვის მიადგება? ბიუროკრატიას, რასაკვირველია, რომელიც თქვენი განმარტებით არის **გაბატონებული კლასების მიერ გამოყოფილი ჯგუფი, რომელიც მხოლოთ მით არის ძლიერი, რომ ამ გაბატონებულთა ინტერესებს იცავს,** ე. ი. ბიუროკრატია არის გაბატონებულთა ხელქვეითი და მონა—მოსამსახურე. ასე არის თქვენ წერილში, ასე გვესმოდა დღემდის ჩვენც, ასე მსჯელობდით წინეთ თქვენც, ბატონო გომართელო. ეს დასკვნა აუცილებელია და თუ თქვენი ,,მკითხველი-გლეხი'' წაკითხულის გაგებას შეძლებს, უეჭველათ გეტყვის, მაშ ჩემი მთავარი მტერი გაბატონებული კლასი ყოფილაო. დარწმუნებული ვარ ამის წინააღმდეგ თქვენ ვერაფერს ეტყვით, მხოლოთ შეუდგებით განმარტებას, რომ გაბატონებული კლასი მარტო თავად-აზნაურობა კი არ არის, ან მთელი თავად-აზნაურობა კი არაა, მისი ნაწილიაო და ამით მოინდომებთ წოდებრივობის მსჯელობიდან გამოგდებას. მერე დაგიჯერებთ კი-მაგ გლეხი? არა, რადგან თითონაც კარგათ ხედავს, რომ უმთავრესათ თავად-აზნაურობაა მიწის მესაკუთრე და, თქვენი თქმისა არ იყოს, ,,**იგი ართმევს საბალახეს, ნაშრომს ნადელების სახით და საზოგადოთ მისი ნაოფლარის უმეტეს ნაწილს**''. ვთქვათ ეს ერთი ნაწილია, მეორე, დაბეჩავებული ნაწილი, კი ამას არ შვრება. გავუსინჯოთ კბილი ამ გაღატაკებულსაც. ნუ თუ, გლეხისთვის აშკარა არ არის, რომ რამდენათაც ეს გაღატაკებული ნაწილი თავად-აზნაურული რჩება, იგიც მისი მოწინააღმდეგეა! ვფიქრობ, რომ აშკარაა, რადგან, ჯერ ერთი, გაღატაკებული აზნაური ღატაკია ფეოდალთან შედარებით და არა გლეხთან, რადგან მისი დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ გლეხზე ბევრათ მდიდარია და მეორე მხრით ეს ღატაკი იმდენათ გამოყოფილია თავისი წოდებრივი უპირატესობით, რომ გლეხს ეს ყოველ-დღე თვალში ხვდება და აგრძნობინებს ხოლმე თავის მონობას. გლეხი გადამხდელია, საზოგადო ბეგარის გამსტუმრებელი, გზის მკეთებელი, ყარაული, მღვდლისთვის დრამის მძღველი, მოხელესი სრული ყმა, ღირსება ახდილი ,,კანონისგან დაცვას მოკლებული და ბევრი სხვა, რომელშიაც არც დაბეჩავებული აზნაური დახმარებია მას დღემდინ, და ამ მხრით მყვლეფელთა რიცხვშია მოქცეული ეს ,,ღარიბ ღატაკიც''. რამდენათ ასეთია აზნაური, ის გლეხის მოწინააღმდეგეა, მოწინააღმდეგე წოდებრივი და მთელი თავისი ძალ-ღონით უნდა ებრძოლოს მას გლეხი; ამ მხრით, წინააღმდეგ თქვენი თქმისა, წოდებაა წოდებას უნდა დაუპირდაპიროს და მოითხოვოს ყოველი წოდებრივი უპირატესობის მოსპობა. ნუ თუ ამის წინააღმდეგ შეგიძლიათ ურჩიოთ რამე გლეხს? ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, იმას რომ გლეხობამ უნდა მოსპოს აზნაურობა ფიზიკურათ და ამოჟლიტოს იგი. ასეთ გიჟ მქადაგებელს ვერ იპოვით ვერც თქვენ და ვერც თქვენი მეზობელი დეკლარაციის ავტორები. ასეთ წოდებას წოდებაზე მისევას კაკი-ჭამიებიც ვერ გაბედავენ დღეს, რადგან ,,მკითხველი-გლეხები'' ბევრ ავტორებზე უფრო ალათ მსჯელობენ...

კი მაგრამ ეს წვრილმანი და «შინაური საქმეა,» დღეს კი გარეშე მტრებთან არის ბრძოლა საჭიროო, ბრძანებთ თქვენ უკანასკნელ ამონაწერში. არა, ბ. გომართელო! წინეთ თქვენ და ჩვენ ეგრე არ ვმსჯელობდით. თქვენ იცოდით, რომ ეკონომიური სტრუქტურა იყო ყველაფრის საფუძველი, იმაზე იყო აღმოცენებული და დამოკიდებული ყოველივე ზენაშენი; იცოდით, რომ ყოველი მოწინააღმდეგე არის ბოლოს და ბოლოს ეკონომიური მოწინააღმდეგე, ეს არის შინაური და გარეული მტერი! იცოდით აგრეთვე, რასაკვირველია ისიც რომ სანდონის შეხედულება ამ საფუძველზეა დამყარებული; იცოდით, რომ ამ შეხედულების მიმდევარს არ შეუძლია ეკონომიურისა და პოლიტიკური მოწინააღმდეგებისა დაშორება; იცოდით რომ ორივე ამას ის ერთსა და იმავე დროს ებრძვის, ეს არის მისი დამახასიათებელი თვისება! მაგრამ ყოველივე ეს დაგივიწყნიათ და მოყოლიხართ, რაღაც ,,შინაურ თანხმობაზე და გარეშე მტერთან" ბრძოლაზე პატრიოტულ სუნიან ფრაზების დახურდავებას. ამ ადგილას სწორეთ რომ ბურჟუა-ლიბერალურია თქვენი ლექსიკონი, თუმცა გინდათ დაგვარწმუნოთ რომ კლასობრივ ნიადაგზე გადაგაქვთ ბრძოლა; რათ დაგჭირდათ კლასისა და წოდების ერთმანეთში არევა? ნუ თუ არ იცით, რომ დღევანდელი რუსეთის მოძრაობა მიმართულია უმთავრესათ ფეოდალური კანის გამოსაცლელათ! თქვენ თუ არ იცით, გაცნობიერებულმა ხალხმა იცის ეს და ის ერთსა

და იმავე დროს ებრძვის ფეოდალიზმს და ბურჟუას სოფელში და ბურჟუაზიის კლანჭებს ქალაქში, ხოლო კლასობრივ ბრძოლის გასაადვილებლათ თხოულობს პოლიტიკური ზედნაშენის შეცვლას და თავისი ცხოვრების მოწყობის საქმეში მონაწილეობას. ებრძვის მიწათ მფლობელს, აზნაურია, იგი თუ ბურჟუა, ებრძვის კაპიტალისტს და თხოულობს თავისთვის ადამიანურ უფლებათა აღდგენას, თანასწორობას, და მით, რასაკვირველია, ებრძვის გარეშე «მტრებსაც,» რომელიც ჩვენი აზრით მხოლოთ ხელქვეითია გაბატონებული კლასებისა და წოდებისა.

ასე გვესმოდა ორივეს ძველათ ცხოვრების მიმდინარეობა, ამას ვუმტკიცებდით ორივე შეძლების დაგვარათ ჩვენ მოწინააღმდეგეთ ერთი და იმავე ორგანოს ფურცლებიდან, და მით უფრო სამწუხაროა დღევანდელი კამათი, მაგრამ აუცილებელი გახადეთ თქვენ თქვენი ნახტომით და ჩვენ მხოლოთ ჩვენ მოვალეობას ვასრულებთ «მკითხველ, გლეხის» და «მკითხველ, მუშის» წინაშე, რომელთაც ძველებურათ მოვიწოდებთ ,,საერთო ნიადაგის'' წინააღმდეგ!..

ნ. ელიავა.

ჩემი შთაბეჭდილებანი

პროლეტარიატი. *)

მარა — საუბედუროთ თუ საბედნიეროთ, ილიკოების და საზოფრავათ და მათი ტეტიების გამოსაფხიზლებლათ,—რასაც დასაწყისი აქვს, იმას დასასრულიც თან დასდევს... წვრილი საკუთრება ეტაპია მუდამ მოძრავი მოუსვენარი შრომისა. აქ ის ისვენებს, ასაკში შედის ფერს იცვლის—იმ ვეშაპის სახეს ღებულობს, რასაც... **მანქანას** ეძახიან. ყველა ვეშაპი გაუმაძღარია—დაუბოლავებელს ქანქვა-ყლაპვას ნაჩვევია. და აი, ესეც ქანქავს, ყლაპავს თავის მომავლინებელს, ჩია მშობლებს... გაქრა ფუტი პატარა ქოხ-სახელოსნოებში. მწარმოებელთ გამოეცალათ ფეხიდან მიწა, ხელიდან სამუშაო იარაღები. მშვიდობით საკუთარო საფუტარ-საბუდარო! მშვიდობით ტყენო და ველნო და შენ, შენ, დამწყვდეულო კარჩაკეტილო იდილია-უმანკოებაო!.. სევდიანნი წასულს მოწყვეტილნი, აწმყოს მოკლებულნი, მომავლის ჯერ აღ მცოდნენი,—წეროებსავით გაბმულნი ისინი იქითკენ მიერეკ-მიეხვეწებიან, სადაც მათ ერთათ-ერთ ავლადიდებას—მათ მარჯვენს, გასაყიდი აქვს. ფაბრიკა-ქარხნები, მადან-მაღაროები, აი ამ მოგზაურთა ახალი შესაჩერებელი ბინა-სადგურები. აქ ძირიან ფესვიანათ უნდა შეიცვალოს მათი სახლიცა და სახეც, რწმენაცა და შეხედულობაც, მათი სახელი ამიერიდან **მუშა პროლეტარია**. ახალმა არემ ახალი კითვები წამოაყენა. ახალი მისწრაფების, იდეალის ცეცხლი აანთო. ამ არემ წაართო შობილს სამშობლო—ეს „ტაძარი“, რომლის ხსენებაზე ყველა ჯურის ყველა კუთხის **გულშემატკივარ** პატრიოტებს გული ასე ეყუჩებათ, თვალი ასე ეცრემლებათ!—სამაგიეროთ მთელი ქვეყნის ქარტა გადუშალა წინ: „იბოგინე, გაიცანი და ბოლოს სულ მთლათ დაიმყარიო“! გუშინ ის იქ, სამშობლოში, ვითარცა ჭია ფოთოლზე, თავის მოკლე საკუთრებაზე მოკლე ჯაჭვით იყო მიკრული. დღეს **სხვისა** და **სხვის** საკუთრებაზე მიკრულა თოკით, რომელიც სიგრძით თუგინდ მთელს დედა-მიწას გადაწვდება, გადაცილდებს.

გუშინ მის იდეალს ეს საკუთრება შეადგენდა, მაზე ზრუნავდა, ლოცულობდა; იმას უვლიდა-ულოლიავებდა. დღეს კი მუშას თვალები გაუხილავს, გაუჭყეტია; დღეს ის საკუთრებაში, როგორც სარკეში, ხედავს დედაბოძს შეველ-ისტორიული დრამის უკუღმართობისა.—გუშინ ის დღე და ღამეს ასწორებდა, ოფლში იწურებოდა—თავის სამუშაო დღეს თვითონვე აგრძელებდა, მისი ინტერესები ამას თხოულობდა.—რაც შეიძლება ნაკლები გარჯა, ნაკლები ოფლის ღვრა, ნაკლები სამუშაო დღე! რაც შეიძლება მეტი სიგრგილე, მეტი სიზარმაცე, მეტი მოსვენება—აი მუშის დღევანდელი მახლობელი მიზანი!—გუშინ ის საწყალი მხდალი ობოლი იყო, ზევით ღმერთის ეშინოდა, ქვეით ბატონის. ყოველ ფეხის გადადგმაზე, ყოველ გაჭირვებაში ამათ სახელს ახსენებდა—გარეშე ძალებს უხმობდა—ემუდარებოდა. წარმოებაში დამოუკიდებელ—ნივთიერათ გათიშულ—განცალკავებული, გუშინ ის საზოგადოებიდანაც დამოუკიდებელი იყო. აქედან საზოგადოებრივ საქმეებზე ფიქრი თავის ტეხა არა მისი, სხვისი საქმე იყო. ამისთვის როცა, ათასში ერთხელ, გაჭირვების ჭარბუქი ამ საქმეებში ძალა-უნებურათ ითრევდა, როცა ეკონომიკა პოლიტიკაში გადადიოდა,—მას შინიდან **გარედ** მარტოკა მუშტის გატანა-ღა შეეძლო—თავი კი საამისოთ მოზდებული არ ქონდა. ცხადია, მისი გარეთ შეძენილი გარეთვე უნდა დარჩენილიყო. მით სხვები—პოლიტიკაში გამომწვარი გამოხახულნი—ითბობდენ ხელს.

დღეს? დღეს ასე არაა. დღეს სულ-სულ სხვაფერაა. დღეს სწორეთ, **მეორეთ მფსვლის** დროს რო იტყვიან, ისაა. დღეს მუშა ხალხი სულ გადირია, „გაირყვნაა. ასე გასინჯეთ, ზეცაც კი არ დაინდო—ჯერ მაზე მიიტანა იერიში! სხვა გზა, სხვა ხსნა, სულო ცოდვილო, არც იყო: აქაურმა მიწიერ-ბიწიერ ბატონებმა თავის უფლების—ბატონობის, მაშასადამე, ცარცვა-გლეჯისა და ღალატობის,—სათავე იქ, ზეცას, გადაკარგეს. საჭირო იყო, ცხადია, მისი აქ გამოჩხრეკ-გამოქექა და იქიდან ისევ უკან გადმოგდება. პროლეტარისთვის ეს არც ისე სამძიმო საქმე იყო. მიწას მოწყვეტილი ის ზეცას თავისთავათ უნდა მოსწყვეტოდა: აბა რაღ უნდა სჭიროდეს, მაშასადამე რათ უნდა ეშინოდეს მას ეხლა სეტყვისა გინდ ჭექა-ქუხილისა, გოლვისა გინდ წვიმა სიცივისა!.. და აი ცრუმორწმუნეობათა მთელი კონა მიწასან—საკუთრებასან ასე მჭიდროთ შეკავშირებული,—მან მათ—ცრუმორწმუნოებათა დარაჯებს—მღვდლებსა და ბერებს, გადასცა. მათვე დაულოცა, რასაკვირველია, საიქიოც იქაური სამოთხითა და ჯოჯოხეთით!..

აქ—მიწაზე კი მუშის მისწრაფება—**თვითეული ყველასათვის, ყველა თვითეულისათვისაა.** იუპიტერის გოგრიდან არც ეს პრინციპი გადმოფრენილა. ისიც მუშის ცხოვრების ახალმა პირობებმა წამოაყენა. მსხვილმა წარმოებამ **ის** ვეშაპი მაშინა შექმნა. ამ უკანასკნელის მოძრაობაში მოსაყვანათ მრავალი მკლავი და თვალია საჭირო. და აი მან გარშემოიკრა მუშათა მთელი ბურჩხლი, როგორც ელექტრონით გატენილი რკინეულობა იკრავს რკინისავე ნამცეცებს. აქ ყველანი ერთათ ერთს მთელს კოლლექტიურ მუშას შეადგენენ. თვითეული მხოლოთ ამ მთელის უბრალო ნაწილია. მათში სრული ორგანიული ერთობა დამოკიდებულობაა, მანქანიდან, წარმოებიდან გადაედო მუშას ეს ნიშნობლივი საზოგადოებრივი თვისება—შემაერთებელი მიმზიდველობა. აქედან—ამ ურთიერთული მიმზიდველობიდან, როგორც დაუშრეტელი წყაროდან, იღებს, იკრებს ის თავის ძალ-ღონეს, მოქალაქობრივ ამპარტავნობას, თავის-თავისადმი პატივისცემას. ყოველ ფეხის გადადგმაზე, ყოველ კაკარდისა და ბატონის დანახვაზე დღეს ის შეშინებული ქუდს არ იშვლეპს თავიდან, მუხლს

*) იხილე „მოგზ.“ № 25.

არავის უდრეკს, მოწყალება-დახმარებას არავის ელოარკება-ემუდარება!..

რა სასაცილოა ქარაფშუტა კუდაბზიკასი ცხვირის მაღლა ზზევა, ინდაურივით ფუყვა-ბერვა!.. ვინც თავის თავს ფასსა სდებს, ის წამალსაც, საშვალებასაც უნდა ეძებდეს—ფასი არ გაფასდეს, მისი კურსი არ დაეცეს. აქ ერთათ ერთი წამალი, სახსარი ძალაა—ძალა ფიზიკური, ძალა გონებრივი. ისტორიის მანძილზე ეს ორი ძალები განცალკევებული არიან: ისინი არც შორდებიან, არც უახლოვდებიან ერთმანეთს—ისე ორი სწორი პარალელური გზით მიდიან: პირველი ქვევით ხვრელ-ხვრელა, ბნელ-ბნელის, მეორე ზევით, გაშლილი, ფართე, ნათელი გზით. აი რაც პირველი მონობდა, მეორე მეფობდა! პირველი წვალობდა, მეორე ხარობდა! ამ ორ ძალთა შეერთება, ცხადია, ერთის დაკვრით გააბათილებს არსებულს სოციალურ უთანასწორობას, უკულმართობას, უკმაყოფილობას. პროლეტარიატის მოსვლამდის ეს შეერთება ვერ მოვიდოდა. მოვიდა პროლეტარიატი და აი იგი შეერთებაც თან მისდევს. დღევანდელ პირობებში ფიზიკური შრომა პროლეტარისთვის აუცილებელი სასჯელი, მეტი არაფერია. ამიტომ, რამდენათ ამ შრომაზე გულს იგდებს, იმდენათ გულდასმითა და ხალისით ეკიდება ის მეორე კატეგორიის შრომას—თვითგანვითარების საქმეს. რა უყოთ რომ მუშა ხალხს დაუხშეს, დაუკეტეს მისი მარჯვენით აშენებული შკოლების კარები! მან თავის აღმზრდელ შკოლათ მთელი თავისი მოხაშმული არე გარდაიქმნა. რა უყოთ რომ მას იქ—ქარხანაში, მხოლოთ ხელით-ტანით მუშაობა მოუჩინეს, თავით კი—მუშათა სულ სხვა კატეგორიას! ის ქარხნის გარეთ მით უფრო მეტის ბეჯითობითა და წყურვილით ეწაფება სწავლა-ცოდნის წყაროს... ნივთიერათ საზოგადოებასთან მჭიდროთ გადაბმული პროლეტარი მხოლოთ საზოგადოებაში და საზოგადოებურ შენობის გაუმჯობესობაში ეძებს თავისი საკუთარ ცხოვრების გაუმჯობესობასაც. პროლეტარიმ გაიღო გეზი პოლიტიკაში, პროლეტარი თან-დათან უჩოჩდება პოლიტიკას. ეკონომიურ ბრძოლას—ბრძოლას ლუკმა პურისათვის, ის პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლით ნათლავს. სულიერი ატმოსფერა—იდეა, პოლიტიკა, დღეს მისთვის ისეთივე აუცილებელ მოთხოვნილებათ გამხდარა, როგორც ხორციელი, ნივთიერი. პირველ სფერაში ისეთსავე უნარს, სიდინჯეს იჩენს, როგორც მეორეში. საჭირო იყო თავით-ფეხებამდის მეცნიერებით შეიარაღება, რომ მარქსს თავისი გენიის სიმაღლიდან დაენახა ის რაც სამუშაო იარაღით მორთულმა უბრალო პროლეტარიმ უკვე თავის-თავათ დაანახა დაბლიდან. ცხოვრების სიღრმეში ჩაჩრულ მუშის გონებამ მარქს—ენგელსის დამოუკიდებლათ მოსტაცა ისტორიას მისი მოძრაობის საიდუმლოება. (იხ. „ფეირ ბახი» ენგელსისა)...

ყოვლის მქნელი, ყოვლის მკეთებელი შრომა ქმნის და აკეთებს თავის საშოდან თავის საკუთარ მასწავლებლებსა და აღმზრდელებსა, მეთაურებსა და სარდლებსაც მისი ღვიძლი შვილნი ტოგო-კუროკები და ნოგები არ გრიპპენჰგევან გარედან შეხიზნულ კინკლაობის შვილთ შტაკელბერგბერგებსა!...

ბოლოს დადგა ჯერი მრავალტანჯული ჯვარცმული შრომისა. ბოლოს მიიბრუნა შრომისკენ ცხოვრების იანუსმა თავისი მაცინარ-მომღიმარი სახე. ბოლოს შრომა წამოაყენა წინ თვით ისტორიამ—თავისი დროშა წინმსვლელობისა მას გადასცა. დინჯი, თავის-თავში ღრმათ დარწმუნებული, თავის საკუთარ ძალ-ღონეზე დანდობილ-დარდნობილი, გაბედული ნაბიჯით მიექანება წინ ეს ტიტანი. ხელში მაგრათ ის მიბარებული დროშა დაუჭერია. ზურგზე ვეებერთელა მთა აუკიდია: ეს რკინის ვეებერთელა ტომარაში დამწყვდეული თავ-მოკრული ჯოჯოხეთია, რომლის [illegible] ცეცხლის ალში ითუთქებოდა, კვნესოდა [illegible] საუკუნოების განმავლობაში. აი იქ—იმ მაღალ სოციალურ გორაზე, მისჭაპნის ტიტანი! ამ გორის კენწეროზე აატრიალებს თავის დროშას. ამ კენწეროდან გადააგრიალებს ქვევით—უფსკრულში ამ ჯოჯოხეთსაც. მის დასაფლავებასთან ერთათ ის აღიდგენს, დაიბრუნებს დაკარგულ სამოთხესაც. შრომა დაიბრუნებს რაც მისი ბუნებრივი ხვედრია, მარა რაც ცხოვრების სიდუხჭირეს, სიზარმაცეს მიუხვეჭ-მიუსაკუთრებია: ის დედა-მიწას დაიბრუნებს და იმას, რაც მის სიღრმეშია, რაც მას ზევით-ზურგზე აკერია და რაც მას—შრომას, შეუქმნია გაუკეთებია. შრომა აღადგენს, სისხლსა და ხორცს შეასხამს დღეს უშინაარსოს, ყველგან და ყოველთვის სამასხროთ აგდებულს: **თანასწორობას, ძმობას, თავისუფლებას!** შრომა ქვეყანას თავის ხატათ და მსგავსათ გარდქმნის!... აი ბუნება, ტენდეცია შრომისა.

აი რა სურს და რას ბრძანებს ისტორიული აუცილებლობის უფალი. აი რას განახორციელებს ამა უფლისა გონიერი—ღონიერი იარაღი—პროლეტარიატი.

პატარა კაცნო, ჩია კაცნო, პროლეტარებო, რა დიდი კაცნი ხართ!..

—ლია.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

„ცნობის ფურცლის“ აღტაცებას და აღფრთოვანებას საზღვარი არა აქვს! როგორც პატარა ბავშვი, რომელსაც მოულოდნელათ სათამაშო სატკაცუნა თოფი ჩაუვარდება ხელში და ჰგონია, რომ ასეთი თოფის წყალობით უძლიერეს მტერს თავ-ზარს დასცემს—ისე „ცნ. ფურც.“ შეიარაღებულა თავიდან ბოლომდე ბ. ივ. გომართელის წერილით, რომელსაც „პასუხის მაგიერი“ დაარქვა ავტორმა (იხ. „ივ.“ № 118), ამაყათ აუწევია თავისი მასუსტებული თავი, გაუდგამს უსუსური ფეხები და რას რახით და ქზით გაიძახის: „**შეგნებულ** მკითხველს კარგა ხანია დავიწყებული აქვს მოგზაურისტების თინები და ტაქტიკა, რაც ბ. გომართელმა მხოლოთ ახლა იგემა. მაგრამ იმ მრავალთ რა ეშველებათ, რომელთათვის... ძნელი გასაგებია მოგზაურისტების მიერ არჩეული საბრძოლველი ტაქტიკათ“.

მოგზაურის მიერ არჩეული საბრძოლველი ტაქტიკა რომ „ცნ. ფურცელს“ და კომპანიას არ მოსწონდეს-ეს არც გასაკვირველია და არც სამწუხარო, რადგან რადა „მოგზაური“ იქნებოდა „მოგზაური“, რომ „ცნ. ფურცელს“ მასთან რამე საერთო ქონდეს. სამწუხარო და საცალალო ის არის, რომ ბ. გომართელმა არ იკმარა ის, რაც „ივერიის“ ფურცლებზე პირველათ გამოამზეურა და თავისი მეორე წერილით უფრო შორს და თითქმის სამუდამოთ შესტოპა იმ მღვრიე მორევში, რომელშიაც პირველათ „ცნობის ფურცლისავე“ საშვალებით შედგა ფეხი. (გაიხსენეთ „წერილი რედაქციის მიმართ“ ბ. ივ. გომართელისა, „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი). რა გაეწყობა! სჩანს ასეთი ყოფილა ბედის წერა! სჩანს ბ. გომართელს სულით და გულით ნდომია „ცნობის ფურცლის“, „ივერიის“ და tutti quanti-ს მომადლიერება. ეს ხომ ასე უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ბ. გომართელმა თავისი კლასიკური წერილი დასტამბა „ივერიის“ 114 №-ში და ამ კლასიკურ წერილს კლასიკური წერილივე მიაყოლა „ივერიის“ 118 №-ში. ხელი ხელს ბანსო—ნათქვამია. ჯერ ბ. ივ. გომართელმა დაბანა ხელი ხსენებულ გაზეთების რედაქციებს და ახლა უკანასკნელნი სამაგიეროს უხდიან ახალ შეძენილ მოკავშირეს. საინტე-

რესთა, როგორ მოეგებება თვით ბ. გომართელი ,,ცნ. ფურცლის'' დიფერამბებს? ჯილდოთ მიიღებს მათ და ამაყებს თუ სირცხვილეულით თავის უტიფრობას ადგილარებს?

„ცნობის ფურცელი"

არის ეგრეთ წოდებული ,,იდე ფიქსით'' შეშლილობა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ადამიანი ერთ რამე აზრზე შეიშლება, სხვაში კი ყველაფერში, თავის ბუნებრივ რასაკვირველია, დარბაისლად მსჯელობს. აი, ასეთ ავათმყოფობად აქვს გადაქცეული ,,ცნობის ფურცლის'' რედაქციას საქართველოს ეროვნული ავტონომია. მისი აზრით, ყველამ მოწიწებით უნდა წარმოსთქვას ეს სიტყვა, მუხლი უნდა მოიყაროს მისი დროშის წინაშე, თუ არა და ხალხის მტრად, ,,პოლიციური და საზიზღარი საშუალების'' მხმარებლად გამოგაცხადებს, და ვაი შენი ბრალი! არ გაპატიებს აგრეთვე არც **ყველა ავტონომისტების** ერთმანეთში არევ-დარევას, და თუნდაც რომ უცოდინარობით მოგივიდეს ეს, არ დაგიჯერებს—არა, კი იცი, მაგრამ განგებ ივიწყებო! ასეთი შეცდომა მოგვსვლია ,,ცნობის ფურცლის'' აზრით ჩვენც, როცა ჭავჭავაძე, ცხვედაძე, აგრეთვე მასწავლებლები და კიდევ სხვა ავტონომისტები ერთმანეთში აგვირევია. ვაღიარებთ რომ სწორეთ ცოდვილი ვართ ამაში, რადგან **ვერავითარ არსებით განსხვავებას ვერ ვპოულობთ მათ შორის**; განსხვავება შეიძლება იყოს კიდეც რამე, მაგრამ მხოლოთ **რაოდენობითი და არა თვისებითი**. ასე ვფიქრობთ ჩვენ. შეიძლება ეს ,,უვიცობა'' იყოს, მაგრამ არ ნდომია აქ არაფერ შუაშია. მით უმეტეს არ უნდა ჩაგვეთვალოს დიდ ცოდვათ ეს, რომ თვით ,,ცნობის ფურცელი'' ყოველთვის აღტაცებით ეგებება ყოველ ავტონომისტს, როგორც პოლიციის გაძლიერების მომხრე თვითმართველობას, ისე მოკრივე პედაგოგებს, როგორც ფეოდალებს, ისე კლერიკალებს, და საიდან უნდა გავიგოთ, ვინ არის **ნამდვილი ავტონომისტი!...** ახლო მომავალში ვეცდებით უკანასკნელი კატეგორიის ავტონომისტებიც გამოვძებნოთ და დავახასიათოთ, ახლა კი მხოლოთ ორიოდე შენიშვნა. ვისაც ორი დღე მაინც უცხოვრია საქართველოში, მასში სიცილის მეტს არას გამოიწვევს ,,მოგზაურისტების'' მიერ **,,პოლიციური და საზიზღარ** საშვალებათა'' ხმარების შესახებ ლაპარაკი, ნამეტურ, როცა ამას «ცნობის ფურცლის» რედაქცია ამბობს. ვფიქრობთ, არ უნდა ესწოდეს ამ სიტყვების მნიშვნელობა ,,უმანკო საშვალებათა მხმარებელ'' რედაქციას, თორემ არ გვგონია ასეთი ბრალდება ასე თამამათ წამოესროლა! თუ ჭკუათმყოფელია ამ ბრალდებას ერთ ფაქტს მაინც გამოაყოლებდა. ასეთივე ფაქტებია საჭირო მეორე ბრალდებისთვისაც, რომელიც ,,მოგზაურისტების'' ფიზიკურ ზედმოქმედებას გვამცნობს, და თუ ამას ვერ იზამს, მაშინ ნება გვექნება მასვე დავუბრუნოთ **საზიზღარ საშვალებათა მხმარებელის და ინსინუატორის სახელი...**

ნარი.

ბურჟუა და პროლეტარი *)

(თარგმანი)

მაგრამ მრეწველობის განვითარებასთან ერთათ პროლეტარიატი გარდა იმისა რომ რაოდენობით მატულობს, უფრო და უფრო მრავალ რიცხოვან ჯგუფებათ იყრის თავს, ერთათ გროვდება; ამასთანავე იზრდება პროლეტარების ძლიერება და, რაც დრო გადის, უფრო იგნებენ იგინი ამ ძლიერებას. მუშათა ინტერესები და ცხოვრების პირობები [illegible] თანასწორდება; ამის ხელს უწყობს მანქანა, [illegible] ქარხანა და სხვა დარგთა შორის განსხვავებას სპობს, სამუშაო ქირას ამცირებს და [illegible] ყოველგან ერთ და იმავე დონეზე ჩამოყავს. თითონ ბურჟუათა შორის კონკურენცია თან და თან ძლიერდება, ხოლო კომერციის გაუმჯობესება ეკონომიურ კრიზისებს ბადებს; ამის და გვარათ ხელფასის ნელობას კარგავს და რყევას წყებულობს. მანქანები კი განუწყვეტლათ უმუშობესდება და ეს გაუუმჯობესება კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში აგდებს მუშასა. მუშასა და ბურჟუას შორის პირადი შეტაკება ნელ-ნელა სხვაფერდება და ერთი კლასის მეორე კლასთან შეტაკების ხასიათს იჩენს. მუშები ბურჟუათა წინააღმდეგ ერთათ საბრძოლველათ გაფიცვას იწყებენ, რომ ამით რამე ნაირათ არსებული სამუშაო ქირა შეინარჩუნონ. იგინი აარსებენ მუდმივ კავშირებსაც, რადგან წინდა წინ ხედავენ, რომ დროგამოშვებით შეტაკება მოუხდებათ. ალაგ-ალაგ ეს შეტაკება აშკარა აჯანყებათ იქცევა.

ხანდახან კიდეც იმარჯვებენ ხოლმე მუშები, მარა ეს გამარჯვება დიდ ხანს ვერ გასტანს. მუშათა გამარჯვების არსებითი ნაყოფი უფრო მათი სოლიდარობის გამტკიცებაა, ვინემ პირდაპირი შელავათის მოპოვება. სოლიდარობის გამტკიცებას ხელს უწყობს გზების გაუმჯობესება, რადგანაც სხვა და სხვა კუთხის მუშები ერთმანერთს ეცნობიან და უახლოვდებიან. ასე გაკვრით დაახლოვება სრულიად საკმარისია სხვა და სხვა ადგილებში არსებულ მუშათა ბრძოლის საერთო ნაციონალურ, კლასობრივ ბრძოლათ გადასაქცევათ, მით უმეტეს რომ ამ ბრძოლას ყოველგან ერთნაირი ხასიათი აქვს. **მარა კლასობრივი ბრძოლა არის პოლიტიკური ბრძოლა.** თანამედროვე პროლეტარები, რკინის გზის წყალობით რამდენიმე წელიწადში ახერხებენ ისეთ შეერთებას, რომლისთვისაც საშვალო საუკუნოებში საუკუნეები იყო საჭირო.

პროლეტართა ცალკე კლასათ და მასთან ერთ პოლიტიკურ პარტიათ შეკავშირების საქმეს ყოველ წუთში ძირს უთხრის თვით მუშების ერთმანერთ შორის კონკურენცია. მიუხედავათ ასეთი შეფერხებისა იგი ისევ ახლდება და თან და თან უფრო მჭიდრო და მრისხანე სახეს იღებს. იგი სარგებლობს ბურჟუაზიის სხვა და სხვა ნაწილთა უთანხმოებით და აიძულებს კანონმდებლობას მუშათა ზოგი მოთხოვნილება დააკანონოს. ასე გავიდა, მაგალითათ, ინგლისში 10 საათის სამუშაო ბილი (კანონი).

ძველი საზოგადოების შინაგანი უთანხმოება ბევრნაირათ უწყობს ხელს პროლეტარიატის განვითარებას. ბურჟუაზიას განუწყვეტელი ომი აქვს ჯერ არისტოკრატიასთან, შემდეგ ბურჟუაზიასავე იმ ნაწილთან, რომელიც მას მრეწველობის განვითარების გზას უღობავს: გარდა ამისა იგი განუწყვეტლივ ეომება უცხო ქვეყნის ბურჟუაზიას. თითეული ამ ბრძოლათაგანი აიძულებს მას პროლეტარიატს მიმართოს, მისი დახმარებით ისარგებლოს და პოლიტიკურ მოძრაობაში ჩაითრიოს. ამ გვარათ ის პროლეტარიატს თავის აღზრდას უზიარებს ე. ი. ხელში აძლევს იარაღს თავისავე წინააღმდეგ.

(შემდეგი იქნება).

*) იხ. მოგზ. № 25

შ უ რ ი ს - ძ ი ე ბ ა.

შევიდა ოთახში და შევყევი მეც. ჯერ რამოდენიმე ბოლთა გაჰკრა და შემდეგ საწერ ტაბლას მიუჯდა. დაიწყო: „ძმაო სამსონ! ეგ საერთო საქმეა. მე მარტოს არ მომხვე-

დრია და იშედი მაქვს აუარს არ მეტყვი. შენი აზრი რომ ვიცი იმიტომ გნიშნავ მედიატორეთ. თედო“.

ბარათი გაამშრალა და კანვერტში დებდა, მარა რალაც გაახსენდა და შეჩერდა. მე გულმა კანკალი დამიწყო. წერილის დახევისა შემეშინდა. უცებ ყურიდან სული ჩავბერე და მცირედენი სინდისის მხილება ქარს გავაყოლე. წერილი დაბეჭდა და მსახურს გადასცა. მე შიგ კონვერტში წერილთან ერთათ მოვიკალათე.

ეს ამბავი შაბაზს მოხდა და კვირა დილით „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში მიგვიტანეს. ახალგაზრდა თმა ქუჩუჩა ყმაწვილმა კონვეტს წვერი წახია და ბარათი ამოიღო. ეს ყმაწვილი სამსონი იყო. მე ისეთი მომეწონა სამსონი, რომ სულში ჩავიძვრენდი, მარა საქმისათვის ის ვამჯობინე მე თითონ ჩავძრომოდი სულში. ასეც მოვიქეცი.

— ეჰ ძლიერ კარგი! ჩაილაპარაკა მან და მეზობლების ყურადღება მიიპყრო. მე ალერსის ნიშნათ თავზე ხელი გადავუსვი.

— რატომ არ უნდა ვიკისრო მედიატორობა, განაგრძო მან, სასირცხო აქ დიახაც არაფერია.

საიდგანლაც არ იყო, მფარველი ანგელოზი გაჩნდა და მარჯვნივ ამოეტუზა. გამხდარსა და ფერ წასულს სახეზე დიდი უკმაყოფილება ეტყობოდა. აშკარათ ჩანდა ახალგაზრდა ყმაწვილისაგან ბევრჯერ იმედ გაცრუებული წასულიყო. ულვაშებში შეპარული სიამოვნების ღიმილი მაშინვე შენიშნა ანგელოზმა და ნაღვლიანი ხმით წასჩურჩულა: «სირცხვილი შენ, ჰაბუკო! განა ვერა ხედავ რასა ჩადიხარ? განა შენ არ იყავი, რომელმაც გაზეთის ფურცლებზე გალანძღე ის ყმაწვილი და შენი ცალ-მხრობა დაამტკიცე? რაღა პირით უთვლი თანხმობას თედოს? გაბედე, იჯმენი ეშმაკისაგან!“

ჰაბუკი გაწითლდა. ვგონებ შერცხვა. მაგრამ გქონდეს სიცოცხლე მე იმას ცეცხლი შეუნთე. ასეთი ულუფა მოწინააღმდეგესათვის დამენებებია სირცხვილი იქნებოდა და მერმე ისეთი მეტოქისათვის, როგორიც ზემოხსენებული ანგელოზი იყო.

ბრწყინვალეთ გავიმარჯვე. ჰაბუკმა ანგელოზს ზურგი უჩვენა და ჩემკენ შემოტრიალდა.

ანგელოზს „მწარე ცრემლები“ გადმოსცვივდა, „მდუღარე ცრემლები“ ,,მწველი ცრემლები“. ,,ფუი შენს კაცობას“ ო უთხრა და გაფრინდა. მე თავისუფლათ ამოვისუნთქე. მოვსდექი პრაპაგანდას: ნუ გეშინია ყმაწვილო მეთქი; ახლა შენ ამოგირჩია თედომ, მიდი და დაეხმარე. მერე შენ ამოირჩიე ის მოვა და ხელს შეგიწყობს, აქ პირდაპირი ანგარიშია მეთქი; ხელი-ხელს ბანს და ამას საზოგადოება არასოდეს არ გაგიმტყუნებს მეთქი; კიდევ ბევრი რამ ველაპარაკე და ისე მაგრა ჩავუჯედე თავში, რომ მგონი ორ-სამ დღეს არ ცდაიწყდება.

ჩემი შურის ძიება ამით დავასრულე. ბენია ჩხიკვიშვილს ხათაბალა ავუტეხე. ჯერ არ მახსოვს იმას ჩემთვის სასიმოვნო რამ ექნას. არ სჯერა რომ კაცმა ხანდისხან ეშმაკიც უნდა მოიმადლიეროს. აბა თუ კარგი ბიჭია, გაუძლოს სამსონსა და თედოს.

დავშთები თქვენი **ეშმაკი**.

დედაკაცი და მისი ეკონომიური მდგომარეობა.

(კლარა ცეტკინასი).

თარგმანი რუსულიდან.

(შემდეგი *).

მთელი დღის განმავლობაში პატარა ბავშვი რჩებიან უფროსი დის მზრუნველობის და მხედველობის ქვეშ და თუ ეს უფროსი შვილი არა ყავს დედა ქირაობს ვინმე მეზობელ ქალს, რომლის სპეციალური ხელობას **„ბავშვების გაანგელოზება“** წარმოადგენს. ბავშვმა რომ არ იტიროს, ჩაიჩრთან პირში ჭუკუიან საწუწნს, ან აძლევენ სხვა და სხვა დასაძინებელ წამალს, მაგალითათ, ხაშხაშს. რის შედეგი ან ბავშვის სიკვდილია და ან მისი სამუდამოთ გამოჩერჩეტება. დედის რძის ნაცვლათ ახლათ გამოგონებულ სხვა და სხვა გვარი საშუალებით ასაზრდოებენ, რაც, რასაკვირველია, ცუდათ მოქმედებს ბავშვის ნორჩ აგებულებაზე. რაც შეეხება სიწმინდეს და გიგიენას — ეს ხომ მიუწდომელია მუშა-ქალისთვის. პროლეტარის ცოლი დიდ-ბედნიერებათ ჩათვლის თავს, რომ შვილის სადმე მიბარება შეეძლოს. როცა ბავშვი ძუძუმწოვრობის ხანას გადაცილდება, ის უფროსი და-ძმანის ან მეზობლის ყურადღების ქვეშ იმყოფება, უფრო ხშირათ კი სრულებით უპატრონოთ რჩება და ამნაირათ ეძლევა განუსაზღვრელი საშუალება თავის დაწვისა, წყალში ჩავარდნისა, ფანჯარიდან გადავარდნისა.

ძალიან იშვიათათ ხერხდება, რომ ბალღი საბავშო ბაღში მოჰყვეს, საიდანაც ის პირდაპირ სკოლაში გადადის. მხოლოდ ამნაირ შემთხვევაში შეუძლია დედას თავისუფლათ ამოისუნთქოს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ მისი შვილი უფროსების ყურადღებისა და გავლენის ქვეშ იმყოფება და ამიტომ არაფერი ხიფათი და უბედურება არ მოელის. ვერც საბავშო ბაღები და ვერც სხვა ამგვარი დაწესებულებანი, რასაკვირველია, ვერ აღწევენ თავის მიზანს, ვერ ანვითარებენ ბავშვს ისე, როგორც უნდა და ვერც შეძლებენ ამას თანამედროვე კლასობრივ წეს-წყობილებაში; მაგრამ, რაც უნდა იყოს, მუშა-ქალისთვის ამ დაწესებულებათ მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვთ.

სიღარიბის გამო მუშა-ქალს არ შეუძლია შვილი რიგიანათ აღზარდოს, მას ამისთვის არ ცალია... შვილები იმყოფებიან დედის გავლენის ქვეშ მხოლოთ მუშაობის შემდეგ, კვირა-უქმე დღეებში, თუ, რასაკვირველია, ის ამ დროსაც არ მუშაობს. მაგრამ, აუტანელი შრომის გამო, იმდენათ მოქანცულია მისი სხეული, მისი გული იმდენი ბოლმითა და ვარმით არის სავსე, იმდენი **შინაური საქმე** უგროვდება მთელი კვირის განმავლობაში, რომ მას ბავშვისთვის აღარ ცალია...

რა გავლენა უნდა იქონიოს ამნაირ მდგომარეობაში მყოფმა დედამ შვილზე?!.

დაგვრჩა წვრილ-ბურჟუაზიული ოჯახი, ეს სიძველეთა მუზეუმი, სალარო ყოველ-გვარი მცნების და ჩვეულებისა, რომელნიც, ოდესღაც ჩვენი წინაპრებისთვის უძვირფასეს განძს და წმიდათა წმიდას წარმოადგენდენ. წვრილ ბურჟუაზიულ კლასის ცხოვრების პირობები არაფერს შემთხვევაში არ წარმოადგენენ მისაბაძ მაგალითს... წვრილი ბურჟუაზია უმეტესათ იღუპება და, იმათ მასალა გარდა თავის მდგომარეობით მსხვილ ბურჟუაზიას უთანაშწორდება, პროლეტარიატის რაზმს უერთდება. ამ კლისის ქალები, ბაძავენ რა ყველაფერში მსხვილ ბურჟუაზიულ დასის ქალებს, ცდილობენ ბავშვების აღზრდიდან თავი გაითავისუფლონ. უმრავლესი მათი ნაწილი კი, იძულებულია სხვა რამე გარეშე სამუშაოს მოკიდოს ხელი, როგორც, მაგალითათ, კერვა, ქსოვა, მასწავლებლობაა, და ამნაირათ, პროლეტარ-ქალებზე ცოტა უქეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან. როგორც ვხედავთ ბავშვებზე ზრუნვა და მათი აღზრდა ამ კლასის ქალებსაც თან და თან ხელიდან ეცლებათ.

ახალმა წარმოების პირობებმა მოსპეს რა ოჯახში მოსახმარი საგნების კეთების საჭიროება, დაარღვიეს ნიადაგი შვი-

*) იხ. „მოგზაური“ № 24.

ლის აღზრდისთვის სახლში. ქალი, რომელმაც საზოგადოებისათვის დაიწყო მუშაობა, იძულებული გახდა „ბუნებრივ დანიშნულებისათვის“ თავი დაენებებინა, რომელიც ბუნებრივი იყო მხოლოდ მინამდის სანამ ის ეკონომიურ პირობებს ეთანხმებოდა.

შვილების მოვლა და მათი აღზრდა მხოლოდ მანამდის შეიძლებოდა დედის განსაკუთრებულ ფუნქციათ დარჩენილიყო, სანამ ქალი თავის მოქმედების თვისებით და ხასიათით ოჯახთან იყო შეკავშირებული. საოჯახო ცხოვრებას უსათუოთ ეკონომიური პირობების-დაგვარი ევოლიუცია უნდა განეცადა, რადგანაც ოჯახი მხოლოთ ეკონომიურ კავშირს წარმოადგენს და არა ზნეობრივს. ოჯახის ეკონომიურ საფუძველთან ერთათ მისი წევრების ზნეობრივი აზრი და შეხედულებანიც უნდა შეცვლილიყვენ. აღზრდის საქმეში საზოგადოება თან და თან ოჯახის ალაგს იჭერს და, ბოლოს, უსათუოთ მის პირდაპირ მემკვიდრეთ გახდება. ეს ევოლიუცია, სამწუხაროთ, ჯერ არ დასრულებულა. ახალსა და ძველს შორის ბრძოლა—ეს მძიმე გარდამავალი ხანა, როგორც ყველაფერს, ისე ბავშვების აღზრდის საქმესაც მეტათ აფერხებს. მაგრამ ოჯახი თან და თან იშლება, ეს პროცესი ისეთი სისწრაფით ხდება, რომ მისი საბოლოოთ დასრულება ყოველ ეჭვს გარეშეა. ბავშვების აღზრდა გადადის და უსათუოთ უნდა გადავიდეს ოჯახიდან საზოგადოებაში, ეს საქმე, დედების ნაცვლათ, ნამდვილ პედაგოგებს უნდა ჩაუვარდეს ხელში. ქალი გახდება თავისუფალი არა თუ როგორც დიასახლისი, არამედ როგორც დედა; მას უფლება უნდა ჰქონდეს ხელი მოკიდოს იმ საზოგადო მოღვაწეობას, რომელიც ეთანხმება იმის ნიჭს და მიდრეკილებას და საზოგადოების მოთხოვნილებას. მისი სოციალური მდგომარეობა თან და თან დაემსგავსება მამაკაცის მდგომარეობას და რაც უნდა იწუხონ და ეცადონ ამ ფაქტს იოტის ოდენათაც ვერ შეცვლიან.

ჩვენი აზრით, ამ მოვლენის გამო ტირილი არა ღირს. ის აზრი, რომ ქალი ვითომ თვით ბუნებამ მიავლინა ბავშვების აღსაზრდელათ—უძველესი და დახავსებული აზრთაგანია, რომელსაც თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ბავშვის «ბუნებრივი აღმზრდელათ დედა მხოლოთ **ძუძუმწოვრობის ხანაშია**, რადგანაც ამ დროს განმავლობაში შვილსა და დედას შორის მართლაც ბუნებრივი კავშირი არსებობს. საზოგადოების მოვალეობა გამოიხატება იმაში, რომ დედის ორსულობის დროს შვილი ნორმალურ პირობებში ვითარდებოდეს, ხოლო ძუძუ-მწოვრობის ხანაში პატარას დედის მოვლა და მზრუნველობა არ მოაკლდეს. მაგრამ როდესაც ბავშვი ძუძუ-მწოვრობის ხანას გადაცილდება—მისთვის სულ ერთია ვინ იქნება მისი აღმზრდელი—დედა თუ ვინმე სხვა, აქ უმთავრესი მნიშვნელობა უცვლელ „ბუნებრივ“ მიზეზებს როდი აქვთ,—გავლენა და მნიშვნელობა, უმთავრესათ, ცვალებად საზოგადოებრივ პირობებს აქვთ.

დედის აღზრდა კი არ წვრთნის და ავითარებს ბავშვს, ავითარებს მხოლოთ გონიერული აღზრდა, რომელიც ბავშვის განვითირების კანონების ცოდნაზეა დამყარებული.

წინანდელი მარტივი, შრომის განაწილების წყალობით, ქალი მართლაც, „ბუნებრივ“ შვილების აღმზრდელს და „ბუნებრივ“ ოჯახის მწარმოებელს წარმოადგენდა. მაშინდელი აღზრდა ისეთივე მარტივი იყო, როგორც მაშინდელი წარმოება. ცხოვრება თან და თან რთულდებოდა, შრომა თან და თან ნაწილდებოდა. სხვა მრავალ საქმესთან ერთათ ქალს ბავშვების აღზრდაც გამოეცალა ხელიდან, რადგანაც ამ საქმემ, თანახმათ ცხოვრების ახალი პირობებისა, სპეციალური ცოდნა და განათლება მოითხოვა.

პირველ ყოვლისა დედას ვაჟების ტეხნიკური სწავლა გამოეცალა ხელიდან, მერე კი, თან და თან, ბავშვების გონებრივი განვითარება და, საზოგადოთ, აღზრდა,—ამ საქმისთვის სპეციალურათ მომზადებულ პირებს ჩაუვარდათ ხელში.

ახლა, რასაკვირველია, არავინ არ გაუხდება წინააღმდეგი ამნაირ შრომის განაწილებას, რადგანაც უპირატესობა და აუცილებლობა სპეციალისტების მასწავლებლობისა ცხადზეუცხადესია. ეხლა ვეღარავინ იტყვის, რომ თავის შვილის «ბუნებრივი და განსაკუთრებული მასწავლებელი» უსათუოთ დედა უნდა იყოს.

ამ ნაირათ, დედის მნიშვნელობა, როგორც თავის შვილების აღმზრდელისა, ეხლანდელი სწავლა-განათლების წყალობით, შესამჩნევათ შემცირდა.

ბავშვების აღზრდა განვითარებაში, დედის ადგილი საზოგადოებას უჭირავს ეხლა, დედა კი არა—საზოგადოება აწესრიგებს სწავლა-განათლების საქმეს, რომლისთვის სპეციალურათ მომზადებულ პირებს იწვევს. ამ გარემოების მიზეზია —ერთი მხრით შრომის განაწილება, მეორეთი—ქალის ოჯახიდან გასვლა და გარეთ მუშაობა.

დოგმატიური დაჟინება იმის შესახებ, რომ ქალი უსათუოთ თავის შვილების აღმზრდელი **უნდა** იყოსო, აშკარათ ეწინააღმდეგება სინამდვილის ფაქტებს. ფაქტიურათ ხომ დიდი ხანია, რაც ქალმა თავის შვილების აღზრდა მიატოვა.

როგორლაც სრულებით ავიწყდებათ, რომ ბავშვების აღზრდა ისეთივე სპეციალურია, როგორც ყველა სხვა სპეციალური საქმე.

როგორც ყველა სპეციალური საქმე, ისე აღზრდაც, მოითხოვს აღმზრდელისაგან ნიჭს, მიწოდებას ამ საქმისთვის, რაც აუცილებელი საჭიროა ბავშვის ტეხნიკურ მომზადებისთვის და მის ყოველ-მხრივ განვითარებისთვის, თუ მაინცა და მაინცა სურთ, რომ ქალს ბავშვების აღზრდის საქმე მიაჩნიონ ხელში მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას ამ საქმისთვის შესწევს ყველა ზემო-აღნიშნული თვისებები; მაგრამ ნამდვილათ ეს აღარ არის—მხოლოთ უმცირეს ნაწილს ქალებისას შეუძლია, რომ ეს სერიოზული საქმე შეასრულოს.

ქალები არ იბადებიან პედაგოგებათ სწორეთ ისე, როგორც კაცები არ იბადებიან ხარაზებათ, სალდათებათ და მხატვრებათ. ასეც რომ არ იყოს, ცხოვრების ახალი პირობების გამო, ქალს არ შეუძლია თავისი პედაგოგიური ნიჭი განავითაროს.

პედაგოგიური ნიჭი, როგორც ყველა სხვა ტალანტი, რომელიმე განსაკუთრებული სქესის თვისებას კი არ შეადგენს. ამ თვისებით არიან დაჯილდოებულნი კერძო პირები, რომელნიც ეკუთვნიან როგორც ერთს, ისე მეორე სქესს.

(შემდეგი იქნება)

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 16-го Іюля 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.